შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (10.127)

29 ივნისი—6 ივლისი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ალოობისას ხანძრის პრევენცია მნიშვნელოვანია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ხანძრების პრევენციისა და სწრაფი რეაგირების მიზნით, კახეთის რეგიონში, კერძოდ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, საველე ოპერაციების შტაბი გახსნა. კახეთის რეგიონში სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟების დამატებითი მობილიზება მარცვლეულის აღების პროცესს უკავშირდება, რაც ხშირ შემთხვევაში მინდვრის ხანძრების რისკს ზრდის.

„აღსანიშნავია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, გაძლიერებული მონიტორინგის მიზნით, დამატებითი ძალების მობილიზება, როგორც სპეც-ტექნიკის ასევე, ცოცხალი ძალის საშუალებით ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოშიც მოახდინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის ტყის და მინდვრის ხანძრების პრევენცია და დროული რეაგირება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ზაფხულის სეზონზე ტყის და მინდვრის ხანძრების გაჩენის რისკი იზრდება, რაც ხშირად გამოწვეულია მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ცეცხლის დანთებით და დაუდევრობით.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოუწოდებს მოსახლეობას, გამოიჩინონ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთონ ცეცხლი სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს და არ დატოვონ ცეცხლის კერები უყურადღებოდ. დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში კი, დაუყოვნებლივ აცნობონ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს“,-აღნიშნულია ინფორმაციაში.

ისტორიული გამარჯვება

2024 წლის 26 ივნისი საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა სასწაული მოახდინა და ტურნირის ფავორიტი პორტუგალიის ნაკრები ანგარიშით 2-0 დაამარცხა. ამ თამაშზე ძალიან ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა, მომავალშიც კიდევ ბევრს დაწერენ! გარდა იმისა, რომ საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან გავიდა, მან სენსაცია მოახდინა და წარმოუდგენელი რამ შეძლო-მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას და მის გუნდს მოუგო.

ამ თამაშს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „კერპების მსხვრევა“-პირველად, თავისი კარიერის მანძილზე, რონალდომ საჯარიმო ვერ გაიტანა, რადგან ქართველმა მეკარემ, მამარდაშვილმა მისი ბურთი მოიგერია და პირობაც შეასრულა: მატჩის წინ დასმულ კითხვაზე, რას იზამდა, თუ რონალდო მის კარში დაარტყამდა, უპასუხა, რომ გადახტებოდა და მოიგერიებდა.

ყველაფერი მართლაც ზღაპარს ჰგავდა-მატჩის პირველივე წუთებში მიქაუტაძის ჩაწოდება კარგად გამოიყენა ხვიჩა კვარაცხელიამ და ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი გოლის ავტორიც გახდა. როგორც ფეხბურთის ექსპერტები ვარაუდობდნენ, მეორე ტაიმი განსაკუთრებით მძიმე იქნებოდა ქართველი ფეხბურთელებისთვის. პორტუგალიელები ბრძოლას განაგრძობდნენ, მაგრამ უშედეგოდ. სიმულაციისთვის ლეგენდარულმა ფეხბურთელმა მსაჯისგან გაფრთხილებაც მიიღო და ყვითელი ბარათი დაიმსახურა, ხოლო ქართველ ფეხბურთელზე უხეშობისთვის პენალტით დაისაჯა პორტუგალიის ნაკრები. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა წარმატებით განახორციელა გიორგი მიქაუტაძემ და ჩვენს ნაკრებს მეორე გოლი მოუტანა. მატჩის შემდეგ რონალდომ თავად აღიარა, რომ საქართველოს ნაკრები არის გუნდი, რომელიც ჩემპიონობას იმსახურებს.

ისტორია დაიწერა! სიხარული, რომელიც საქართველოს ნაკრებმა მთელს ერს მიანიჭა, ენით აუწერელია!

დედოფლისწყაროელი ქომაგები ქართველი ფეხბურთელების საგულშემატკივროდ სპორტის ცენტრში შეიკრიბნენ და დიდ ეკრანზე უყურებდნენ საფეხბურთო მატჩს. ბევრ მათგანს ეჭვი ეპარებოდა ჩვენი ნაკრების გამარჯვებაში, მაგრამ ოპტიმიზმი მაინც არავის ტოვებდა. საბედნიეროდ, სკეპტიციზმი მალე დაიძლია და გამარჯვების სიხარულმა ყველა ააღელვა. დედოფლისწყაროშიც, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში, იყო საზეიმო მსვლელობა, მანქანების სირენები და ფოიერვერკი...

გერმანულმა „დოიჩე ველემ“ (Deutsche Welle) თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ქართველების თამაშმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა“, რომელშიც გადმოცემულია კომენტარები ევროპის ჩემპიონატში საქართველო-პორტუგალიის ნაკრები გუნდების მატჩის შემდეგ.

გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:

საქართველოს ნაკრების სენსაციურმა გამარჯვებამ პორტუგალიასთან გამართულ მატჩში (რომელმაც ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტების - ქართველების „პლეი-ოფში“ გაყვანა უზრუნველყო), უდიდესი ემოციები გამოიწვია არამარტო თვითონ მოთამაშეებში, არამედ, გუნდის მთავარ მწვრთნელში და რა თქმა უნდა, ქართველ გულშემატკივრებში.

სასწაულები კიდევ ხდება...

„ჩვენ უკვე ისტორიაში შევედით. არავის სჯეროდა, რომ ჩვენ პორტუგალიელებს ვაჯობებდით, მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ქართველი ფეხბურთელების გუნდს ეს შეუძლია“, - აღნიშნა მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მოთამაშემ ხვიჩა კვარაცხელიამ, რომელმაც პორტუგალიასთან მატჩის პირველივე წუთებში ბრწყინვალე გოლი გაიტანა.

„ეს სასწაულებრივია. თბილისელებს და საერთოდ ქართველებს ამაღამ არ დაეძინებათ“, - ასეთი კომენტარი გააკეთა ქართველმა ჟურნალისტმა დათო ლობჟანიძემ BBC 5-ის ეთერში.

მწვრთნელების აზრით...

/გაგრძელება გვ.3/

„კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით, საქართველო ევროკავშირის წევრ 10-მდე ქვეყანას უსწრებს“

„ჩვენ ამბიციური ამოცანა გვაქვს, გვინდა, რომ კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით, ევროპის მოწინავე ქვეყნებს შორის დავიკავოთ ადგილი“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პარლამენტში, ყოველწლიური მოხსენებისას განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, კორუფციის სიმცირის კუთხით საქართველო ევროკავშირის წევრ 10-მდე ქვეყანას უსწრებს.

„თებერვლის მოხსენების დროს, კორუფციაზე ვისაუბრე. მინდა გითხრათ, რომ ამ თვეების განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა, რომელიც უკვე დადებითად აისახა ამ კუთხით ქვეყნის მდგომარეობაზე. ჩვენ გვაქვს ამბიციური ამოცანა, რაზეც ვისაუბრე თებერვალში. ჩვენ გვინდა, რომ ადგილი დავიკავოთ ევროპის მოწინავე ქვეყნებს შორის. დღესაც ვუსწრებთ ყველა კანდიდატ ქვეყანას კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით, ასევე ვუსწრებთ ევროკავშირის წევრ 10-მდე ქვეყანას ამ შესაბამისი მაჩვენებლებით საერთაშორისო ინდექსების თანახმად, თუმცა, ჩვენ გვაქვს უფრო მაღალი ამბიცია და გვინდა, დავიკავოთ ადგილი ევროპის ქვეყნების სამეულში კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ეს არის რთული ამოცანა, თუმცა, სწორი მიმართულება გვაქვს აღებული, კონკრეტული ღონისძიებები განხორციელდა გასული ოთხნახევარი თვის განმავლობაში, განხორციელდება მომდევნო თვეების განმავლობაშიც და უკვე მომავალი წლისთვის გვექნება ფუნდამენტური სხვაობა ამ თვალსაზრისით. ამაზე მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

ჩვენ ამ ოთხთვენახევრის განმავლობაში გარდა იმისა, რომ გრძელდებოდა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება, შევქმენით საფუძვლები ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის და ეს ყველაფერი აისახება ოთხწლიან საარჩევნო პროგრამაში, რომელიც მას შემდეგ, რაც მოვიგებთ საპარლამენტო არჩევნებს, გადაითარგმნება უკვე ოთხწლიან სამთავრობო პროგრამაში. ყველა პრიორიტეტს მოიცავს ეს პროგრამა, ყველა მიმართულებით იქნება გაწეული განსაკუთრებული ძალისხმევა. რაც მთავარია, ჩვენ კვლავაც ვიზრუნებთ საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაზე“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

სიღნაღის ციხე-გალავნის ანაგის კარიბჭის აღდგენა დასრულდა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - სიღნაღის ციხე-გალავნის ანაგის კარიბჭის აღდგენა დაასრულა.

სიღნაღის ციხე-გალავანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია, რომელიც, ძირითადად, რიყის ქვით არის ნაგები, უმნიშვნელო რაოდენობით გამოყენებულია აგური. ანაგის კარიბჭე გვიან პერიოდში გაიჭრა. 2022 წლის პირველ დეკემბერს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, კარიბჭის თაღი დაინგრა. შემორჩენილი იყო მხოლოდ საყრდენი ნაწილები, რის გამოც საჭირო გახდა თაღის აღდგენა-განახლება.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე 2024 წელს დაიგეგმა და ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები, კერძოდ, გაიწმინდა ტერიტორია, გაკეთდა ქარგილი და ამოიყვანეს თაღი.

პროექტის განხორციელების შედეგად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი სრულად აღდგა და თაღს დაუბრუნდა პირვანდელი იერსახე.

სარეაბილიტაციო სამუშაოები 2024 წლის 7 მარტს დაიწყო ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ - ა(ა)იპ „წმინდა სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირმა“. სიღნაღის ისტორიული გალავნის თაღის რეაბილიტაციისთვის სააგენტომ გამოყო 44 023 ლარი.

სიღნაღის ციხე-გალავანი XVIII საუკუნით თარიღდება. იგი 4 კმ სიგრძისაა და მოიცავს 40 ჰექტარ ტერიტორიას. ისტორიკოსთა ნაწილი ციხის აგებას ერეკლე II-ს მიაწერს, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მან მხოლოდ აღადგინა სიმაგრე.

რა ცვლილებები ამოქმედდება საქართველოში პირველი ივლისიდან

2024 წლის პირველი ივლისიდან საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე ამოქმედდება. მათ შორის იცვლება სკოლებში სახელფასო პოლიტიკა, უქმდება ძველი პირადობების მოწმობები, ექსვჯერ გადავადების შემდეგ ნაწილობრივ გაიხსნება ენერგეტიკული ბირჟა და ა.შ.

პირველი ივლისიდან ელექტროენერგიის საბითუმო ბირჟა ეტაპობრივად გაიხსნება. კერძოდ, მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, 2024 წლის 1-ლი ივლისიდან ქვეყანაში ელექტროენერგიის ბაზრის გარდამავალი მოდელი ამოქმედდება, რაც ითვალისწინებს დღით ადრე და დღიური ბაზრების ამოქმედებას შეზღუდულ და ნებაყოფლობით რეჟიმში, ხოლო საათობრივი დაბალანსების ვალდებულების, ასევე საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ამოქმედების ვადის გადაწევას 2025 წლის პირველ ივლისამდე.

ამასთან, 2024 წლის პირველი ივლისიდან ბაზრის მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა, ელექტროენერგიით ვაჭრობა განახორციელონ დამატებით პლატფორმებზე და თავის მხრივ, ეს პროცესი ხელს შეუწყობს „სამიზნე მოდელზე“ გადასვლას.

პირველი ივლისიდან მასწავლებლების ხელფასი გაიზრდება. ამის შესახებ დადგენილება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა უკვე გამოსცა. მანამდე, პრემიერ მინისტრმა განმარტა, რომ პედაგოგებს ანაზღაურება სულ მცირე, 250 ლარით, მაქსიმუმ კი 800 ლარზე მეტით გაეზრდებათ.

სამინისტროს დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ პედაგოგის სახელფასო სარგოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი განათლება და კვალიფიკაცია იქნება. გარდა ამისა, მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო დამოკიდებულია სამუშაო შტაჟზე. რაც შეეხება მასწავლებლის ხელფასს, ჩატარებული საგაკვეთილო საათების მიხედვით, კვირაში 96 ლარიდან 2 325 ლარამდე მერყეობს. კერძოდ:

1 საათი - 96 ლარი, 2 საათი - 192 და ა.შ. აღნიშნული გაანგარიშება, კვირაში საგაკეთილო 25 საათი 2 350-ლარიან ანაზღაურებას გულისხმობს. დადგენილების მიხედვით, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების ფუნქციური დანამატი განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: წამყვანი მასწავლებლის ფუნქციური დანამატი - 150 ლარი; მენტორი მასწავლებლის ფუნქციური დანამატი - 300 ლარი.

2024 წლის პირველი ივლისიდან უქმდება 2011 წლის 28 ივლისამდე გაცემული არაელექტრონული (ლამინირებული) პირადობის მოწმოგები. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, 15 მარტიდან მიმდინარეობს პირადობის ელექტრონული მოწმობებით (ID ბარათი) უსასყიდლოდ ჩანაცვლების აქცია. სააგენტოს ცნობით, ამ დროისთვის აღნიშნული აქციით 105 ათასზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა.

კულტურული მემკვიდრეობის ზონებში სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარისგან თავისუფლდება. ივნისში პარლამენტმა დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ მესამე მოსმენით მიიღო.

ცვლილება გულისხმობდა, კანონმდებლობაში არსებული ნორმის შეცვლას. კერძოდ, მოქმედი კანონი ითვალისწინებდა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში, ჯარიმების გახუთმაგებას და ზოგ შემთხვევაში გაათმაგებას. მათ შორის, არსებობს ნორმა, რომელიც ნებისმიერი ტიპის დარღვევაზე 200-ათას ლარიანი ჯარიმის შესაძლებლობას აწესებს.

ცვლილების ავტორების შეფასებით კი, ბევრი საჯარიმო ფაქტი დაგროვდა, როდესაც 10 კვადრატულამდე ფართზე, სადაც უკანონოდ ან ნებართვის გარეშე არის მშენებლობა განხორციელებული, მესაკუთრეებს უწევთ აღნიშნული თანხის გადახდა. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, პირველ ეტაპზე მოქალაქეებს მიეცემათ გაფრთხილება, 90-დღიანი ვადა დარღვევების გამოსწორებისთვის და არ მოხდეს მათი მაშინვე დაჯარიმება. გამოსწორების შემთხვევაში კი მოქალაქეები აღარ დაჯარიმდებიან.

ამასთან, კანონში შეტანილი ცვლილებით, 2024 წლის 11 იანვრიდან პირველ ივნისამდე პერიოდში, მსგავსი დარღვევების მქონე მოქალაქეებისთვის მოხდება ამნისტირება და ჯარიმების ანულირება.

პირველი ივლისიდან მოქალაქეები გარკვეული შემთხვევებში დამტკიცებულ სესხზე უარის თქმას შეძლებენ. „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“ ცვლილებები შევიდა. კერძოდ, სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნათია თურნავას ახალ ბრძანებაში, რომელიც მიმდინარე წლის 1-ლი ივლისიდან ამოქმედდება, საუბარია, ფინანსურ ორგანიზაციებსა და მომხმარებლებს შორის ურთერთობების დარეგულირებაზე. მათ შორის, საფინანსო პროფუქტზე გაფორმებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობებზე. ცვლილებების მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს უარი თქვას დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებაზე, ასევე, ერთ მილიონ ლარამდე გაცემულ სესხებზე/კრედიტებზე მათი გაფორმებიდან 14 დღის განმავლობაში.

ამასთან, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გატანილი ძირის დაბრუნების გარდა, მომხმარებელი მხოლოდ გამოყენებული პერიოდის პროცენტს, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოსთვის და ნოტარიუსისთვის გადახდილ ხარჯებს დაფარავს. როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის საფინანსო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება, მათ შორის, მომხმარებელთან გასაფორმებელ/გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პირველი ივლისიდან მეზღვაურებს გარკვეული სამუშაოების შესრულება აეკრძალებათ. მთავრობამ გემზე დასაქმებული 18 წლამდე მეზღვაურის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობების/სამუშაოების ჩამონათვალი დაამტკიცა. როგორც მთავრობის დადგენილებიდან ირკვევა, ამ წესების დაცვა სავალდებულო 2024 წლის 1-ლი ივლისიდან გახდება.

კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, გემზე დასაქმებული 18 წლამდე მეზღვაურისთვის აკრძალულია: ბიჭებისათვის 10 კგ-ზე მეტი, ხოლო გოგონებისათვის 4 კგ-ზე მეტი წონის ტვირთის ან საგნების აწევა, გადაადგილება ან გადატანა; საქვაბეებში, ავზებსა და კოფერდამებში შესვლა; ხმაურისა და ვიბრაციის მავნე ზემოქმედების ქვეშ სამუშაოს შესრულება; ამწისა და სხვა ძალოვანი მექანიზმებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულება ან ასეთი მექანიზმების/მოწყობილობების ოპერატორებისთვის მესიგნალის ფუნქციების შესრულება; გემის მიბმასთან ან ღუზის ჩაშვებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულება; სატაკელაჟო სამუშაოების შესრულება; არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ პირობებში სიმაღლეზე ან გემბანზე მუშაობა; ღამის ცვლაში ვახტის გაწევა; ელექტრომოწყობილობების მომსახურება; პოტენციურად მავნე ნივთიერებებთან ან ფიზიკურ აგენტებთან კონტაქტი, როგორებიცაა საშიში ან ტოქსიკური ნივთიერებები, ან მაიონებელი გამოსხივების ზემოქმედების ქვეშ მუშაობა; კამბუზის დანადგარების გასუფთავებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულება; გემზე არსებული ნავების მოვლასთან ან მართვასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულება.

2024 წლის პირველი ივლისიდან აფლატოქსინით დაბინძურებული ცხოველის საკვების გამოყენება იკრძალება. მთავრობის ტექნიკური რეგლამენტი - „ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ“ ავალდებულებს ყველა ფერმერს, დაიცვას ცხოველის საკვების შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები, რათა არ მოხდეს საკვების აფლატოქსინით დაბინძურება.

აფლატოქსინი ობის სოკოებისაგან წარმოიქმნება. დაბინძურებული საკვების მიღებით, აფლატოქსინი ხვდება ცხოველის ორგანიზმში და გადადის რძეში, გარდაიქმნება ტოქსინად და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, ლაბორატორიული კვლევის შედეგად, აფლატოქსინი გამოვლინდა რძის 9 ნიმუშში, 2023 წელს კი 14 ნიმუშში.

რეგლამენტი მთავრობამ 2024 წლის 29 თებერვალს მიიღო, ხოლო მისი ამოქმედება პირველი ივლისიდან იგეგმება. რაც შეეხება უცხოეთს, პირველი ივლისიდან ასევე რამდენიმე ცვლილება არის დაგეგმილი, რამაც შესაძლოა, ირიბი გავლენა საქართველოზეც იქონიეს. ამ ცვლილებების შესახებ, „ბიზნესპრესნიუსი“ წინა დღეებში ვრცლად წერდა, ახლა კი მოკლედ შეგახსენებთ თუ რა, სად იცვლება და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ჩვენს ქვეყანაზე.

რუსეთი ბენზინის ექსპორტზე დაწესებულ შეზღუდვას პირველი ივლისიდან ისევ აამოქმედებს და ის ძალაში 31 აგვისტოს ჩათვლით იქნება. ნავთობიმპორტიორი კომპანია „სენტა პეტროლიუმის“ დამფუძნებელი ზაალ იაკობიძე განმარტავს, რომ საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი ყველაზე იაფია, შესაბამისად, რუსეთის მიერ აკრძალვის კვლავ ამოქმედება უარყოფითად იმოქმედებს საწვავის ფასებზე.

მანვე განმარტა, რომ აკრძალვის გაგრძელების შემდეგ, ბენზინზე ქვეყანაში დეფიციტი არ შეიქმნება. იაკობიძის თქმით, იმპორტიორები საწვავს ევროპის ბაზრებიდან შემოიტანენ, რაც გამოიწვევს ფასების ზრდას.

შეგახსენებთ, რუსეთიდან ბენზინის ექსპორტი 2023 წლის 21 სექტემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით გასულ წელსაც აიკრძალა, რათა საავტომობილო საწვავის შიდა ბაზარზე ფასები დასტაბილურებულიყო. რუსეთმა აკრძალვა მეორედ 2024 წლის პირველი მარტს აამოქმედა. განკარგულების თანახმად, აკრძალვა ძალაში 6 თვით უნდა ყოფილიყო, თუმცა 20 მაისს კვლავ მოხსნა შეზღუდვა და პირველი ივლისამდე გააგრძელა. ბოლო დადგენილებით პირველი ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით რუსეთიდან ბენზინის აკრძალვა კვლავ მოქმედი იქნება.

თურქეთი ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გავლას ისევ აძვირებს. თურქეთი პირველი ივლისიდან ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით გემების გავლის ღირებულებას, თითქმის, 15%-ით გაზრდის და გადასახადი 5,07 დოლარი იქნება. ამის შესახებ ქვეყნის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა აბდულკადირ ურალოღლუმ განაცხადა, რაც უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე ვრცელდება.

მისი თქმით, თუ 2022 წლამდე 10-ათასტონიანი სატვირთო გემი ტრანზიტში მთლიანობაში 3 240 დოლარს იხდიდა, მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან, ტრანზიტის ახალი ტარიფების გათვალისწინებით, ასეთ გემს 20 370 დოლარის გადახდა მოუწევს.

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის დირექტორის პაატა ცაგარეიშვილის განცხადებით, „თურქეთის ეს გადაწყვეტილება უპირველეს ყოვლისა, ტვირთების საკონტეინერო გადაზიდვის ტარიფებზე აისახება. ეს ყოველივე კი პროდუქციის ფასების ზრდასაც გამოიწვევს“. მისივე შეფასებით, ბოსფორის და დარდანელის შემდეგ, გადაზიდვების ტარიფები შესაძლოა, შუა დერეფანშიც, ჩინეთიდან საქართველოს მიმართულებითაც გაიზარდოს.

ქართული კულტურა = ქართულ ფოლკლორს

27 ივნისს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლმა აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლს „შავნაბადა“ უმასპინძლა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული კოლექტივების, კერძოდ: ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლასთან არსებული ანსამბლები და ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ხორნაბუჯი“.

კონცერტი სიტყვით გახსნა ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის დირექტორმა **ლალი აზარიაშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლა არსებობის 10 წელს ითვლის. ***„ამ ხნის განმავლობაში სკოლამ არაერთი წარმატებული კურსდამთავრებული გაზარდა. ზოგიერთმა მათგანმა სწავლა გააგრძელა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა უკვე პროფესიონალ ლოტბარ-რეგენტებად. დღეს ისინი სკოლაში პედაგოგებად მუშაობენ და თავიანთი გუნდები ჰყავთ“.***

მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლასთან არსებული ანსამბლების ნორჩი აღსაზრდელები ლოტბარების-**ნიკოლოზ შანშაშვილის, ბაჩანა ალუღიშვილის, ანა ლოლაშვილისა და ლექსო გრემელაშვილის** ხელმძღვანელობით.

ნორჩი შემსრულებლების შემდეგ კულტურის სახლის სცენაზე ავიდნენ ანსამბლ „ხორნაბუჯის“ მომღერლები, რომელთაც შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები და კიდევ ერთხელ შეახსენეს საზოგადოებას, რომ ფოლკლორი ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და სიამაყეა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა **თამარ თამაზაშვილმა** მიულოცა სკოლას 10 წლის იუბილე, წარმატებები უსურვა სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებს და აღნიშნა: **„მეც თქვენთან ერთად ვხარობდი დედოფლისწყაროს სცენაზე 100-მდე ბავშვის გამოსვლით. სასიამოვნოა, როცა მომავალი თაობა ხალხური სიმღერით ინტერესდება და ჩვენს ეროვნულ სიმდიდრესთან მათი ზიარება ხდება. ერთ-ერთი მიზეზი ქართული ხალხური მუსიკის მაღალი მხატვრული დონისა ისიცაა, რომ მის გვერდით პროფესიონალური მუსიკაც არსებობს: ქართული გალობა, რომელიც მე-10 საუკუნიდან იწერებოდა. ამ ჩანაწერების გაშიფვრაზე დღემდე მუშაობენ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტების დონეზე არსებობდეს სკოლები, სადაც ადამიანები ადრეული ასაკიდანვე გაეცნობიან ქართული კულტურის, მრავალხმიანი მუსიკისა და გალობის საფუძვლებს. ეს კი ქართული ხალხური სიმღერის გადარჩენისა და პოპულარიზაციის ერთადერთი გზაა“.**

ანსამბლ „შავნაბადას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა **დავით ცინცაძემ** კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ქართული ფოლკლორის მნიშვნელობაზე, რომელიც ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განუყოფელი ნაწილი იყო წარსულშიც და ასე რჩება დღესაც.

„ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში ზეპირად გადმოცემულ სიმღერას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს ისეთი კულტურული მოვლენაა, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. ამიტომ „იუნესკომ“ ის „ზეპირი და არამატერიალური კულტურის შედევრების“ სიაში შეიტანა.

მან გაიხსენა დედოფლისწყაროში გალობის სკოლის დაარსების ისტორიაც. „მინდა მოგილოცოთ ის ამბავი, რომ 10 წლის წინ დაწყებული ინიციატივა, რომლის მხარდამჭერი და ემოციურად გამზიარებელი იყო ქალბატონი თამარ თამაზაშვილი, რეალობად იქცა. ამ იდეას მხარი დაუჭირეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ეპარქიის მაშინდელმა მმართველმა მეუფე დიმიტრიმ. როდესაც ერი და ბერი ერთად დგას, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, რომ 100-მდე ბავშვი იდგეს სცენაზე და მღეროდეს ხალხურ სიმღერას, ეცნობოდეს ქართულ ფოლკლორს, გალობას და ამით, ქართულ კულტურას. მადლობა ყველას ამისთვის, ვინც წვლილი შეიტანა ამ მამულიშვილური საქმის კეთებაში“.

ანსამბლ „შავნაბადას“ მომღერლებმა დავით ცინცაძის ხელმძღვანელობით შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები როგორც დამოუკიდებლად, ასევე დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებულ ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ხორნაბუჯთან“ ერთად.

კონცერტის დასასრულს სცენაზე მიიიწვიეს ანსამბლ „ხორნაბუჯის“ მხცოვანი და დამსახურებული მომღერლები: **ვასილ მაჭარაშვილი** და **ვახტანგ ლეკიაშვილი**, რომელთაც მადლობის სიგელები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა გადასცა. **მალხაზ მერაბიშვილმა** დაარსებიდან 10 წლის იუბილე მიულოცა ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლას, გაიხსენა სკოლის დაფუძნების ისტორია და მის მესვეურებს წარმატებები უსურვა. სკოლას იუბილე მიულოცა ასევე დედოფლისწყაროს მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარმა **მამა ნიკოლოზმა (ლომსაძემ).**

საზეიმო კონცერტი ცნობილი სიმღერით „ჩაკრულო“ დასრულდა, რომელიც ერთად შეასრულეს სტუმრებმა და მასპინძლებმა.

ქართული საგალობლები სამხმიანია. მრავალხმიანობას, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სხვა ეკლესიებიც იცნობენ. თუმცა ამგვარი განსაკუთრებული სამხმიანობა მხოლოდ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. იოანე პეტრიწის ცნობით, იგი მე-13 საუკუნეში უკვე ფართოდ იყო გავრცელებული. მრავალხმიანი სიმღერა ქართველისთვის იმდენადვე ბუნებრივია, როგორც ქართულად საუბარი. ადრექრისტიანული ერთხმიანი სიმღერების მრავალხმიან სიმღერად გარდაქმნა ბიბლიისა და სხვა ლიტურგიული ტექსტების თარგმნის ერთგვარ ანალოგს წარმოადგენს. 800 წლის წინ იოანე პეტრიწმა სამხმიანი სიმღერა ღვთიურ სამებას შეადარა: „ამ სამით ქმნიან კეთილხმოვანებას, რადგან არათანაზომიერ ხმათა კეთილშეწყობით მიიღება ჰარმონია.“

ქართველ ხალხს სამართლიანად შეუძლია იამაყოს წინაპართა მიერ შექმნილი უძველესი და უმდიდრესი მუსიკალური კულტურით, რომლის მოვლა-პატრონობაც ახალგაზრდა თაობის ვალია.

ინგა შიოლაშვილი

ისტორიული გამარჯვება

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვილი სანიოლმა ხაზი გაუსვა, რომ მისი „გუნდის თამაშმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა“. მისი თქმით, მატჩის წინ მან ფეხბურთელებს მოუწოდა გაეხსენებინათ, თუ როგორ თამაშობდნენ ისინი 16-17 წლის ასაკში, მიზანმიმართულად, ყოველგვარი სხვა აზრების გარეშე“.

თავის მხრივ, პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა რობერტო მარტინესმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი გუნდისთვის რთული იყო აჰყოლოდა ისეთ ინტენსიურ თამაშს, როგორსაც ქართველები თამაშობდნენ. „დიახ, ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასეთ საქართველოს გუნდის შესაძლებლობები... აშკარაა, რომ ქართველებმა თავიანთი ისტორიული მატჩი ითამაშეს. ჩვენ კი უკვე უზრუნველყოფილი გვქონდა ჯგუფში პირველი ადგილი“, - აღნიშნა პორტუგალიელი ფეხბურთელების მწვრთნელმა.



კვარა

მიქაუტაძე

მამარდა

ზეიმი საქართველოში

საქართველოს ქალაქების ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა დროშებით ხელში, რომ მეტოქეესთან გამარჯვება და ეროვნული ნაკრების მერვედფინალში წარმატებით გასვლის გამო სიხარული გამოეხატათ. სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ვიდეოკადრების მიხედვით, ქართველები ცეკვავენ, მღერიან და პირდაპირ ქუჩებში შლიან საზეიმო სუფრებს.

„კვარას“ საუცხოო გოლმა, გიორგი მიქაუტაძის პენალტმა, „მამარდას“, ჩაკვეტაძის, გველესიანის და საერთოდ, ყველა ფეხბურთელის საუცხოო თამაშმა, საბოლოოდ, გამარჯვება მოგვიტანა!

ქართველი ფეხბურთელების თამაშით გაოცებულია მთელი მსოფლიო:

„კრიშტიანო ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია, თუმცა შემდეგი 7 ნომერი კვარაა!“

„ძველი ლეგენდა ახალ ლეგენდას შეხვდა“ - წერენ კვარაცხელიასა და რონალდუს ფოტოზე.

„გილოცავთ, ეს არ არის ზღაპარი, ეს საოცარი გამარჯვებაა“.

„საქართელოს მსოფლიო დონის ფეხბურთელები ჰყავს, „კვარადონა“ და მამარდაშვილი საუკეთესოა, გელოდებით ესპანეთში“.

„ფეხბურთი უცნაური და დაუჯერებელია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, გილოცავთ საქართველო“.

„ფაქტი, რომ საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე 3 მატჩი ჩაატარა და ტურნირის გამორჩეული გუნდი, პორტუგალია დაამარცხა, ეს მათ უფრო თავდაჯერებულს გახდის. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ქართველები მოტივაციით სავსენი იქნებიან““- ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

ხვიჩა კვარაცხელია The Players Tribune-სთან ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე:

„ფეხბურთი - ფეხბურთია. არავინ, არასოდეს არ იცის რა და როგორ მოხდება. ხომ არავინ ფიქრობდა, რომ საერთოდ გავიდოდით ჩემპიონატზე?!

ახლა ისევ არ სჯერათ. ამბობენ, საქართველოს შანსი არ აქვსო.

ყველა ამას იძახის.

მაგრამ, მე იცი რას გეტყვი?

მე ასე ვიტყვი...

აბა ჯერ ქართველებს კითხეთ“.

კვარაცხელიამ ბავშვობის ოცნება ისტორიული გამარჯვებითა და რონალდოს მაისურით აიხდინა, — ამის შესახებ „როიტერი“ წერს.

„საქართველოს თილისმამ, ხვიჩა კვარაცხელიამ მატჩის საუკეთესო წარმოდგენა გამართა, თავისი ქვეყანა ევრო 2024-ის მეთექვსმეტედფინალში პორტუგალიასთან ისტორიული 2-0 მოგებით, რომელიც შთაგონებული იყო მისი ბავშვობის გმირის, კრიშტიანო რონალდუს სიტყვით. კვარაცხელიამ ორ წუთში გაიტანა გოლი და გააოცა ევროპის ყოფილი ჩემპიონები, შემდეგ კი სენსაციური დრიბლინგის ჩვენება მოახერხა“, - წერს „როიტერი“.

საქართველომ გააკეთა სტრუქტურა, რამაც უფრო შთამბეჭდავი გახადა მათი შეტევის მოძრაობა და შემოქმედებითობა, - ამის შესახებ აღნიშნულია „გარდიანის“ სტატიაში, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების წარმატებას ეხება.

სტატიის თანახმად, ვილი სანიოლი წვრთნიდა ფეხბურთელებს კონტროლირებად დაბალ ბლოკში, რომელიც მზად არის, გაიხსნას იმგვარად, რაც შესაძლოა, უნიკალური იყოს და პირველი გოლი ამის ნათელი წარმოდგენა იყო.

„თუმცა უფრო საინტერესო ის არის, რომ ეს არ იყო აკადემიის სისტემა ესპანეთიდან ან გერმანიიდან კოპირებული. საქართველომ უფრო მეტად შეინარჩუნა ფეხბურთისადმი საკუთარი კულტურული მიდგომა. ეს არ არის მხოლოდ ის, რაც გესმით ამ დისკუსიებში. ქართული ფეხბურთი მრავალი თვალსაზრისით გამორჩეულია. უბრალოდ, შედით ინტერნეტში და მოძებნეთ კლიპები „დინამო“ თბილისის ლივერპულთან, 1979-1980 წლების ევროპის თასზე გამარჯვებიდან. ქართულმა მხარემ 3-0 დაამარცხა ბობ პეისლის დიდი გუნდი ექსპრესიულობითა და ინოვაციებით, რომელიც დღევანდელ ფეხბურთშიც კი გამორჩეული იქნებოდა.

„ვესტ ჰემ იუნაიტედი“ დღემდე საუბრობს, როგორ გაანადგურა ისინი იმავე გუნდმა მომდევნო სეზონში, ევროპის თასების მფლობელთა თასის მოგების გზაზე. კლუბები, როგორიცაა „დინამო თბილისი“, „კვაზი“ ეროვნულ გუნდებად ასპარეზობდნენ, მაგრამ საქართველოს ახლა ჰყავს საკუთარი გუნდი, მათაც აქვთ საკუთარი დიდება. კვარაცხელიამ განუცხადა „ნიუ იორკ თაიმსს“, თუ როგორ აყალიბებს ინდივიდუალური ჩვენება და ექსპრესიულობა ქართული კულტურის ძირითად ნაწილს და ეს არის ის, რის ჩართვასაც ცდილობდა ფეხბურთის ფედერაცია შიდა თამაშის ინფრასტრუქტურაში. რა თქმა უნდა, ეს არის თანამედროვე ტექნიკური და ტაქტიკური მწვრთნელობა, მაგრამ ამ იშვიათი ინდივიდუალობის შენარჩუნებით. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს მსგავსი ისტორიები არ არსებობს“, - აღნიშნულია სტატიაში.

მოამზადა

ინგა შიოლაშვილმა

რატომ საზაფხულო ბანაკი?

ჩვენს ბავშვობას თუ გავიხსენებთ, საზაფხულო ბანაკი ნებისმიერი ჩვენგანისთვის მხიარულებასთან, საინტერესო აქტივობებთან და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან ასოცირდება.

უამრავი მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება, რატომ არის ბავშვისთვის სასარგებლო საზაფხულო ბანაკში დასვენება. გარდა იმისა, რომ მოზარდი თანატოლებთან ერთად უამრავ დროს გაატარებს, სუფთა ჰაერზეც იქნება და აქტიური ცხოვრების წესითაც იცხოვრებს, ის არაერთ საჭირო უნარ-ჩვევასაც შეიძენს, რომლებიც მომავალში გამოადგება.

ბავშვთა ფსიქოლოგები რამდენიმე თვალშისაცემ სარგებელს გამოყოფენ, რომლებსაც ბავშვი საზაფხულო ბანაკში ყოფნის დროს მიიღებს:

საზაფხულო ბანაკი ნებისმიერი ასაკის მოსწავლისთვის იდეალური საშუალებაა, მცირე ხნით დამოუკიდებლად, ოჯახის მზრუნველობის გარეშე იცხოვროს, არაფორმალურ გარემოში. მხოლოდ ასე ისწავლის ყოფით პრობლემებთან გამკლავებას და მეტიც, უფრო მეტად დააფასებს იმ ყველაფერს, რასაც მშობლები მისთვის აკეთებენ.

საზაფხულო ბანაკი იდეალური ადგილია ახალი მეგობრების შესაძენად და სოციალური უნარების გასავითარებლად. ბანაკში ბავშვები ისეთ აუცილებელ სოციალურ უნარებს იძენენ, როგორებიცაა გრძნობების გაზიარება, თანამშრომლობა და გულწრფელი ურთიერთობები. დროის უმოკლეს პერიოდში ახერხებენ, უამრავი ახალი მეგობარი გაიჩინონ. საუბარია ნაკლებად კომუნიკაბელურ და ჩაკეტილ ბავშვებზეც, რადგან ბანაკის აქტივობებში ჩართვა მათ გახსნაში ეხმარება.

თუ საზაფხულო ბანაკის პროგრამა სრულადაა მორგებული ბავშვის ინტერესებს, მაშინ ის აუცილებლად უნდა აერთიანებდეს საგანმანათლებლო ნაწილს, სახალისო თამაშებსა და სპორტულ აქტივობებს. ამ აქტივობებში ჩართვის დროს კი შესაძლოა, ბავშვმა აითვისოს და ყოველდღიურობაში დანერგოს ისეთი ჰობი, როგორიცაა, მაგალითად, სპორტის სახეობები ან ინტელექტუალური გართობა თანატოლებთან ერთად.

იმის მიუხედავად, რომ საზაფხულო ბანაკი განტვირთვის, სოციალიზაციისა და დასვენების ადგილია, სწორად შედგენილი პროგრამის მიხედვით, ბავშვმა არაფორმალური განათლებაც უნდა მიიღოს. თუ ის წელიწადის დანარჩენ დროს სკოლაში დადის და სხვადასხვა საგანს სწავლობს, არც ზაფხულში არ უნდა მოსწყდეს რადიკალურად ამ საქმიანობას. ასე შეძლებს, ახალი სემესტრის დაწყებას უფრო მომზადებული შეხვდეს და სასწავლო პროცესშიც მთელი ენთუზიაზმით ჩაერთოს.რედაქცია დაუკავშირდა მეორე საჯარო სკოლის მიმდინარე სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულს - ლანა მენთეშაშვილს, რომელსაც საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს მიღებული სხვადასხვა დროს საზაფხულო ბანაკებში არდადეგების გატარებისა და ვთხოვეთ ჩვენთვის რამოდენიმე წუთი დაეთმო ეროვნული გამოცდების წინ და ესაუბრა იმ პერიოდსა და გამოცდილებაზე, რაც მას საზაფხულო ბანაკმა შესძინა: ***ზოგადად ბანაკი, რომელიც შემეცნებითი სახისაა, ძალიან დიდ როლს თამაშობს მოზარდის ცხოვრებაში და არც ჩემთვის ყოფილა გამონაკლისი. არასდროს დამავიწყდება არცერთ ბანაკში გატარებული დრო. ბევრი ვიცინე, ვიხალისე, წარმოუდგენლად კარგი მეგობრები შევიძინე, გავიუმჯობესე კომუნიკაციის უნარი და რაც ყველაზე მთავარია, ძალიან საინტერესო ინფორმაციას გავეცანი. როგორც ვიცი, ახლა აღარ არის ეს პროექტი, მგონი, შეჩერებულია, ზუსტად არ ვიცი, ყოველშემთხვევაში ის ვიცი, რომ ამ პროექტს მხოლოდ სიკეთე და დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა მოაქვს ახალგაზრდებისთვის.***- ამბობს ლანა და არათუ ვეთანხმები, არამედ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აქ ბავშვებს ვინმე ან უყურადღებოდ დატოვებს ან რაიმე ნეგატიური ქცევის წამახალისებელი გარემო იქმნება, მე მგონია, პირიქით, არასასურველი ქცევა ყველგანაა შესაძლებელი, ნებისმიერ ადგილას და არამხოლოდ ჯგუფთან მიკუთვნებულ გარემოში, სადაც მოზარდი ახალგაზრდა მისი საუკეთესო თვისებების გამოვლენას ახდენს მისივე თანატოლების ემპათიის და სიმპათიის მოსაპოვებლად.

როგორ ზრდის მადას სპორტული თამაშების ყურება

ფიზიკური აქტივობა მადას ზრდის და ვინც აქტიურად ვარჯიშობს, ეს ყველაზე კარგად მას მოეხსენება.

კვლევებმა აჩვენა, რომ ფიზიკური აქტივობა (ვარჯიში) საკვების მოხმარების მოთხოვნილებას ზრდის. ეს ლოგიკურიცაა რადგან დახარჯული ენერგიის შემდეგ, ორგანიზმს ძალების აღსადგენად კალორიები სჭირდება.

ცხელი ზაფხულის პარალელურად, როდესაც სულ უფრო მეტი სპორტული აქტივობაა საყურებელი (ევროპის ჩემპიონატი, კოპა ამერიკა და ოლიმპიადა), ჩნდება შეკითხვა, შეუძლია თუ არა სპორტს ეკრანებიდანაც უფრო მოგვაშიოს?

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ პასუხი შემდეგია – დიახ, სპორტული აქტივობების ტელევიზორიდან ყურება ჩვენს მადას აძლიერებს! ახალი კვლევის თანახმად, მსგავსი აქტივობები მაყურებელში ტკბილეულის მიღების მოთხოვნილებას ზრდის. მეტიც, მადაზე ისიც მოქმედებს, თუ რამდენად დატვირთულია სპორტული აქტივობა.

ეკრანი და არაჯანსალი საკვები

კვლევის ფარგლებში 112 სტუდენტს დააკვირდნენ. ახალგაზრდები უყურებდნენ ვიდეოებს, რა დროსაც მაგიდასთან იყო ტკბილეული. სტუდენტების ნახევარი უყურებდა სპორტულ აქტივობებს, ხოლო მეორე ნახევარი უბრალოდ ვიდეოებს, ყველანაირი სპორტული აქტივობის გარეშე.

სპორტული აქტივობების მაყურებელმა ახალგაზრდებმა ბევრად მეტი ტკბილეული შეჭამეს, ვიდრე მათ, ვინც ჩვეულებრივ ვიდეოს უყურებდა.

თავდაპირველმა კვლევამ აჩვენა, რომ სპორტული ვიდეოების ყურებამ შეიძლება გაზარდოს ტკბილეულის მოხმარება, მაგრამ იყო ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი: ბიჭებმა გაცილებით მეტი ტკბილეული მიირთვეს, ვიდრე გოგოებმა. შესაძლოა, შედეგზე გავლენა სქესის ფაქტორმაც იქონია.

ამ ფაქტორის გამოსარიცხად, მეცნიერებმა შემდეგი კვლევა მხოლოდ გოგოებზე ჩაატარეს. კვლევის მონაწილეები უყურებდნენ როგორც მსუბუქ სპორტულ აქტივობებს (სირბილს), ისე მძიმე სპორტს (მძლეოსნობა, ბეისბოლი და რაგბი). შედეგებმა აჩვენა, რომ მათ ვინც მსუბუქ სპორტულ აქტივობას უყურა, საშუალოდ 30 გრამი ტკბილეული მოიხმარა, ხოლო მან, ვინც მძიმე სპორტულ ვიდეოებს, მხოლოდ 18 გრამი ტკბილეული მიირთვა.

მკვლევრების თქმით, ეს ნიშნავს, რომ მადის გაძლიერებაზე ისიც მოქმედებს, თუ როგორ სპორტულ აქტივობას ვუყურებთ.

რატომ ხდება ეს?

„შედეგების ასახსნელად, ჩვენ სხვადასხვა ფაქტორები გავითვალისწინეთ. როდესაც ადამიანები გრძნობენ, რომ მიზანს ვერ აღწევენ, ისინი უფრო მეტს ცდილობენ. თუმცა, როგორც კი ადამიანი ხედავს პროგრესს, ის შედარებით დუნდება. მაგალითად, ვარჯიშის შემდეგ, ადამიანმა შეიძლება ჩათვალოს, რომ გეგმა შეასრულა და ჯანსაღ კვებაზე ნაკლებად იფიქროს“, – აღნიშნეს მკვლევრებმა.

კვლევებმა აჩვენა, რომ მიზნების მიღწევამ (როგორიცაა ვარჯიში) შეიძლება ადამიანებს კმაყოფილება აგრძნობინოს. ამის შედეგად ადამიანმა შეიძლება საკუთარი თავი საკვებით უფრო დააჯილდოოს.

მკვლევრები ვარაუდობენ, რომ სპორტის მხოლოდ ყურებამაც კი შეიძლება ფიზიკური აქტივობის შეგრძნება გააჩინოს. ასეთ დროს ტვინი „ტყუვდება“ და უჩნდება შეგრძნება, რომ თავადაც ფიზიკურ აქტივობაში იყო ჩართული. შესაბამისად, ტვინი მზად არის საკუთარი თავი მეტი საკვებით დააჯილდოოს.

რაც შეეხება მსუბუქ სპორტსა და მძიმე სპორტს შორის განსხვავებას: მკვლევრების თქმით, მაყურებელი მარტივ სპორტულ აქტივობასთან უფრო აკავშირებს თავს, ვიდრე რთულ სპორტთან. შესაბამისად, მარტივი სპორტული აქტივობის ყურების შემდეგ უფრო ხდება „დაჯერება“ იმის, რომ თავად მაყურებელიც ჩართული იყო ფიზიკურ აქტივობაში.

გვერდი მოამზადა
ელზა ხარაშვილმა



ფუტკრების მეგობარი ზემო მაჩხაანიდან

ზემო მაჩხაანში მცხოვრები 22 წლის გიორგი ოზბეთელაშვილი მეფუტკრეობას ბავშვობიდან მისდევს. მიიჩნევს, რომ მისი ცხოვრების მთავარი საქმიანობა უკვე იპოვა. ფიქრობს, რომ სოფლის გასაძლიერებლად აუცილებელია ახალგაზრდები ადგილზე დარჩნენ და ხელი სოფლის მეურნეობას მოკიდონ. მისი თქმით, ვისაც შრომა არ ეზარება, ამ მხრივ სოფლებიც პერსპექტიულია.

გიორგი ოზბეთელაშვილი: „15 წლის ვიყავი, როცა მამამ რამდენიმე ჩარჩო ფუტკარი მოიყვანა, გვინდოდა სახლისთვის გვყოლოდა. მერე გაირკვა, რომ პაპასგან შემორჩენილი გვქონდა ძველებური ფუტკრის იარაღები. მე ვერ მოვესწარი, მაგრამ, როგორც ამბობენ 2-3 სკა ჰყოლია. ამიტომ მამაჩემი კითხულობდა წიგნებს და ცდილობდა ფუტკარი მოეშენებინა. სერიოზული გეგმები არ გვქონია, საკუთარი მოხმარებისთვის დავიწყეთ ეს საქმე. ერთ დღესაც, როცა სკაში ვიყურებოდით, ფუტკარმა ლოყაზე მიკბინა და თვალთან დამისივდა. ამან უფრო სტიმული მომცა, რომ მესწავლა. მინდოდა გამერკვია, რატომ მიკბინა და როგორ უნდა მოვქცეულიყავი ამის შემდეგ.

მეც დავინტერესდი და ჩავერთე, ინფორმაციას ვეძებდი, მუდმივად ცოდნას ვაგროვებდი. ბევრი საინტერესო ცოდნა შევიძინეთ და ორი სკა ფუტკარი გვყავდა, მაგრამ ვხვდებოდით, რომ ეს საკმარისი არ იყო. თეორიას ვიცნობდი, მაგრამ პრაქტიკული გამოცდილება რომ არ მქონდა, ეს ხელს გვიშლიდა. ზოგჯერ მეზობელი სოფლებიდან მცოდნე ადამიანებს მოვიყვანდით ხოლმე და გვეხმარებოდნენ. 4 ჩარჩოდან 12-ზე ავდით, მალე კი ორი სკა გვყავდა. იმდენად საინტერესო აღმოჩნდა ვეღარ გავჩერდით, მეც სტიმული მომეცა. ძებნის პერიოდში წავაწყდი ინფორმაციას, რომ ალავერდის მონასტრის საფუტკრე მეურნეობა „თაფლიკაცი“ მსურველებს უსასყიდლოდ შეასწავლიდა ფუტკრის ოჯახებთან სამუშაო თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ისინი პერიოდულად იღებენ მოსწავლეებს და მეც 2016 წლიდან 2-3 კვირით იქ დავდივარ, ზოგჯერ ახლაც მიწევს ხოლმე. იქ ძალიან კარგი გარემო და სპეციალისტები დამხვდნენ, ხელმძღვანელია შოთა კალანდარიშვილი და ბევრი საჭირო რამ სწორედ მათთან ავითვისე. იქ მიღებულმა ცოდნამ დიდი შედეგი მომცა. უკვე ვიცოდი, როგორ გამეყო ოჯახები. მონასტერმა სწორი მიმართულება მომცა და შვება ვიგრძენი. ძალიან მადლიერი ვარ მათი. ძალიან მოსწონდათ ჩემი შემართება, ინტერესი და მოტივაცია, ამიტომ პირველივე ჯერზე მონასტრიდან რომ დავბრუნდი, მათ მაჩუქეს 2 სკა ფუტკარი, ასე დავიწყე 4 სკით, მალე ერთიც შევმატე და 5 სკა გამოვაზამთრე. ამ დროს უკვე ეს საქმე მამაჩემისგან მთლიანად გადმოვიბარე და მას შემდეგ მარტო ვუძღვები. მშობლები და და ძმა პერიოდულად მეხმარებიან, რაც შეუძლიათ მთელი ოჯახია ჩართული. გაზაფხულზე ინტენსიური გამრავლება დავიწყე, თაფლზე აღარც ვფიქრობდი. როცა გინდა ფუტკარი გაამრავლო, ამ დროს მოსავალს ვეღარ აიღებ. ბევრ თაფლს ვუტოვებ ხოლმე და თუ ფუტკარს ბევრი თაფლი რჩება, მაშინ დაავადებები ნაკლებად ჩნდება. საქმე კარგად წავიდა და იმ წელს 25 სკამდე ავედი.

სკების ვაგონს ალაზნის დაბლობზე ვაყენებ, ზამთარს იქ ატარებს და გაზაფხულზე კარგი კლიმატის გამო დროულად გამრავლებას ხელი ეწყობა. ზემო მაჩხაანში რომ გამოვაზამთრო, აქ მაღლობია, ცოტა სხვა კლიმატია და ვერ ასწრებენ, განვითარება უგვიანდებათ, ამ დროს კი ყვავილობა დაასწრებთ. ამიტომ იქ ბევრად უკეთესად ეგუებიან და ზუსტად ყვავილობის დროს ემთხვევა მათი გამოსვლა. ვცდილობ, ყველა დეტალს ყურადღება მივაქციო, შესაბამისი გარემო შევუქმნა და მათზე მოვარგო. აუცილებელია ფუტკარი სხვადასხვა ლოკაციაზე ატარო. თუ ადგილს არ შეუცვლი, ამ შემთხვევაში მიიღებ ერთჯერადად, ერთ მოსავალს. მომთაბარეობის შემთხვევაში კი 2—3 მოსავალს დავწურავ. ეს უკვე ამინდზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, მეფუტკრეზეც ბევრი რამაა დამოკიდებული და ეს შედეგი დიდი შრომით მიიღწევა. ეს ყველაფერი ძალიან მსიამოვნებს, რადგან ამ შრომას ჩემი მეგობარი ფუტკრებისთვის ვაკეთებ.

— ***ბავშვობისას რა პროფესიები გხიბლავდა, თუ გიფიქრია რომ ამ გზას დაადგებოდი?***

— ბავშვობისას სხვა ინტერესები მქონდა, ხეზე კვეთა მინდოდა მესწავლა. როგორც ჩემი მასწავლებლები ამბობდნენ, სკოლაში ვწერდი, რომ პოლიციელობა და ჯარისკაცობა მინდოდა. მაგრამ მეფუტკრეობა იმდენად დაბალი ასაკიდან შემოვიდა ჩემში, რომ მაშინ ჯერ

პროფესიული არჩევანი გაკეთებული არ მქონდა. ახლა რომ ვიხსენებ, ფუტკარი მართლაც მოულოდნელად შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში და დიდი კვალი დატოვა. მონასტერში მეფუტკრეობა უკვე კარგად ათვისებული მქონდა, როცა სკოლა დავამთავრე და ტექნიკური უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავების ფაკულტეტზე ჩავაბარე. გასულ წელს დავამთავრე ინჟინერი — კვების ტექნოლოგის ბაკალავრის წოდებით. ეს ფაკულტეტიც იმიტომ შევარჩიე, რომ მეფუტკრეობაში დამხმარებოდა. აქ დამატებით ვისწავლე წარმოებული პროდუქციის ეტიკეტირება, საწარმოს მოწყობა, სურსათის სტანდარტები და სხვა საჭირო თვისებები. მეწარმის განვითარებისთვის საჭირო ბევრი ნიუანსი უნივერსიტეტში შევიძინე. ინჟინერის განათლება ხელს მიწყობს, რომ საჭირო საგნები ჩემივე ხელით დავამზადო. მაგალითად ფუტკრისთვის საჭირო ვაგონი საკუთარი ხელით ავაწყე და შედულებაც შევძელი. ასევე შესაწამლი აპარატი სუბლიმატორი საკმაოდ ძვირი ღირს, ამიტომ ისიც მე დავამზადე მინიმალური დანახარჯით. ვცდილობ, ყველაფერი თავად დავამზადო, სკები და ჩარჩოებიც ჩემი დამზადებულია.

ხშირად ვესწრები ტრენინგებს, რომლებიც განვითარებაში მეხმარება, ახლახანსაც, არასამთავრობო ორგანიზაციის მოწვევით ამერიკელი სპეციალისტი იყო ჩამოსული და კახეთში დაინტერესებულ ადამიანებს კოლეჯ აისის შენობაში საინტერესო შეხვედრა გვქონდა. მეც ხშირად ვატარებ ტრენინგებს, რადგანაც მეფუტკრეთა გაერთიანების ტრენერი ვარ სიღნაღსა და დედოფლისწყაროში.

— ***როგორი იყო პირველი შემოსავალი, რამდენად სტიმულის მომცემი აღმოჩნდა ის?***

— პირველი შემოსავალი დაახლოებით 600 ლარამდე მივიღე, საშუალოდ 30 კილოგრამი თაფლი გავყიდე და ჩემთვის ლეპტოპი ვიყიდე. გასაყიდად არსად წამიღია, სახლიდანვე გავყიდე. დღესაც ასე ვარ, მსურველი ბევრია, მოდიან და მიაქვთ. მეორე წელს უკვე 100 კგ გავყიდე და მას შემდეგ სულ იმატებდა. ამჟამად წელიწადში საშუალოდ ტონა თაფლს ვიღებ, იანვრის თვეში უკვე აღარ მქონდა თაფლი, არადა მსურველი ისევ მრავლად იყო. ზემო მაჩხაანში არ არის მეფუტკრეობა განვითარებული, შეიძლება ითქვას კონკურენტი არ მყავს და როცა ხარისხსაც ინარჩუნებ, მყიდველის სიმცირე არ გექნება. შესაძლებელია ტონაზე მეტიც მივიღო, მაგრამ ძირითადად ვამრავლებ და ექსპერიმენტებს ვატარებ ხოლმე. თითო სკიდან 35 კგ თაფლს ვიღებ, ზოგადად საშუალო მოსავლიანობა დიდია. კახეთის რეგიონისთვის ეს კარგი მაჩვენებელია, თორემ დასავლეთ საქართველოში ისეთი მცენარეებია თითო სკაზე 80 კილოგრამამდე ადიან. მხოლოდ თეორიული ცოდნა არაფერია, აუცილებელია დიდი პრაქტიკული გამოცდილება. საქმესთან უშუალოდ მისვლა ბევრ ისეთ ნიუანსს გასწავლის, რასაც ვერც წიგნში ამოიკითხავ და ვერც ისწავლი. მითუმეტეს, რომ მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ლიტერატურის უმრავლესობა მოძველებულია და განახლებას მოითხოვს. ყველა სკას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. შესაძლოა ერთიდაიგივე პრობლემის დროს ერთ სკას სხვა მიდგომით ჩარევა უნდოდეს, მეორეს სულ სხვა. ექსპერიმენტები მიყვარს მეთქი ვახსენე და ამ დროს ბევრი ოჯახი დამხოცია, მაგრამ სამაგიეროდ, ბევრ რამეს ვსწავლობ ხოლმე და მიღებულ გამოცდილებას მომავალში ვიყენებ.

მაისის თაფლი უფრო ნაზი გემოთი გამოირჩევა, მინდვრის ყვავილებისგანაა მომზადებული. აკაციის ყვავილობის შემდეგ ძეძვის და მინდვრის ყვავილების გამო ვაგონს ხორნაბუჯის ციხის ქვემოთ ვაჩერებ, მერე მთაში მიმყავს. ცაცხვის თაფლს სპეციფიური გემო აქვს, უფრო მეტად ტკბილია, ახლაც ასეთ ზონაში მიდგა და ივლისის ბოლოს გვექნება ახალი მოსავალი. ამისთვის შესაბამისი გარემოა მთაში, ძირითადად ლაგოდეხის ნაკრძალთან მიდგა ხოლმე, „კაბალჰესთან“. წაბლის თაფლი მუქია, უფრო მომწარო გემო აქვს და შედარებით ძვირიც ღირს. წაბლის თაფლი არ მქონია, მაგრამ დანარჩენი მაქვს ხოლმე. ძალიან მიყვარს თაფლი და არ არსებობს დღე, რომ არ მივიღო, ყოველ დილით ერთ კოვზს მაინც

მივირთმევ.

— ***საქმიანობის დასაწყისში ალბათ შეცდომები და ჩავარდნებიც გქონდათ...***

— რა თქმა უნდა, ჩემი ეს საქმიანობა ყოველთვის წარმატებული არ იყო, ჩავარდნებიც ხშირად მქონია. მეფუტკრეობაში ცნობილი ფაქტია, რომ „სისხლის გამოცვლა“ კარგია ფუტკრისთვის. ერთხელაც ვიყიდე ახალი სკა და ვიფიქრე, დედა ფუტკრებს იქიდან გამოვზრდიდი. აღმოჩნდა, რომ ამ სკიდან ისეთი დაავადებები შემოვიტანე, რომელიც ჩემთან არ იყო. ის სკა დამეხოცა და სხვაგანაც გავრცელდა. იყო ტკიპა და სხვა დაავადებები. ეს პრობლემა 2017 წლიდან გავრცელდა. მანამდე მეფუტკრეები გაზაფხულსა და შემოდგომაზე წამლიდნენ, ახლა უკვე სხვა მიდგომაა ამ პრობლემის მიმართ. მაშინ 30-დან 9 სკა გამინადგურდა. ამის მერე კი შეცდომაზე ვისწავლე და ამ დაავადებებს გაცილებით მეტი დრო დავუთმე. ამ საქმეში ყველაფერმა თვისებები შეიცვალა. ბევრი დაავადება შემოვიდა, ახალი ტკიპა დაფიქსირდა, თუმცა ჩვენთან ჯერ არ შემოსულა. აზიის ბევრი ქვეყანა ებრძვის. პირადად მე მაქსიმალურად ვცდილობ ქიმიური პრეპარატები არ გამოვიყენო და წარმოქმნილ პრობლემებს ბუნებრივი გზებით ვებრძოლო, რომ მაქსიმალურად ჯანსაღი და ნატურალური პროდუქცია მივიღო. ტკიპასაც ბუნებრივი ბიოპრეპარატით მჟაუნმჟავათი ვებრძვი, რომელსაც თავად ვამზადებ. ქიმიურად მაშინ ამუშავებენ, თუ ძლიერი დასნებოვნებაა. მაგრამ, ჯობია სკა დაწვა, ვიდრე დანარჩენი ფუტკარი დააზიანო და დაავადებების გავრცელების საშიშროება დადგეს. მე ჯერ სკა არ დამიწვია, ამის საჭიროება არ დამდგარა, მაგრამ ალბათ ასე მოვიქცევი და ეს უფრო გამართლებული მგონია. დღეს ძირითადად ტკიპის პრობლემა დგას.

— ***როგორია სამომავლო გეგმები?***

— ამჟამად 80 სკა მყავს, სამომავლოდ გაფართოებას ვაპირებ, მინდა მინიმუმ გავაათმაგო და 800 სკამდე ავიდე, მერე ბუნებრივია მეტი ვაგონი და მეტი რესურსი დამჭირდება, რეალიზებასაც მხოლოდ სოფელში ვერ შევძლებთ. მაგრამ ამაზეც ვმუშაობ, რომ ეტიკეტირების პროცესი გავიაროთ, ქილებში ჩამოვასხა და ქსელურ მარკეტებში შეტანა მოვახერხო. ფუტკარი მხოლოდ თაფლის მოსავალს არ იძლევა. მას სხვა პროდუქტებიც აქვს, როგორიცაა ფუტკრის რძე, ყვავილის მტვერი, ჭეო... მათ რეალიზაციასაც სოფელში ვახდენ.

— ***რამდენად რთულია ეს საქმე და ეს ისაა, რაც გინდა მთელი ცხოვრება აკეთო?***

— ყველაზე შრომატევადი სამუშაოა დაწურვის პროცესი. ოჯახში მხოლოდ პატარა საწური გვაქვს, სადაც ორი ჩარჩო ეტევა და ტონა თაფლის ასე დაწურვა დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს. ძალიან რთული საქმეა, მაგრამ როცა ფუტკარი გიყვარს და ხალისი გაქვს, ამ დროს უკვე დაღლას ვეღარ გრძნობ. დილით ადრე მივდივართ ხოლმე, ჩარჩოები სახლში მოგვაქვს ხოლმე, რომ არ მოხდეს თაფლის დაბინძურება და სახლში ვწურავთ, საღამოს კი ჩარჩოებს ისევ უკან ვაბრუნებთ, რომ ფუტკარმა მისი აღდგენა დაიწყოს. ამ ხნის მანძილზე ფინანსური მოგება უფრო გაიზარდა, ნაწილს საკუთარ თავს ვახმარ, მაგრამ უდიდეს ნაწილს ისევ უკან ვაბრუნებ, რათა ეს საქმე განვავითარო. ზოგადად, ფუტკრის მოვლა ისეთი საინტერესო და ამოუწურავი თემაა, ვინც ახლოს მივა და საქმეში ჩაიხედავს, მერე რთულია შეეშვა. მართალია დიდ ცოდნას მოითხოვს და ყოველდღიურ ზრუნვას და მეთვალყურეობას საჭროებს, მაგრამ მაინც საინტერესოა. ძალიან მოვიხიბლე და „მოვიწამლე“ ამ დარგით. ცხოვრების მიზანი დავინახე და მიმაჩნია, რომ ესაა საქმე, რომელსაც მთელი ცხოვრება გავყვები.

— ***ახალგაზრდები ასეთი საქმით ნაკლებად ინტერესდებიან, რას ურჩევდი შენს თაობას?***

— მეფუტკრეობას ძირითადად მაშინ იწყებდნენ, როცა პენსიაში გადიოდნენ და სახლში რჩებოდნენ. არადა ეს არასწორია, ფუტკარი ასე ვერ განვითარდება. საჭიროა ახალგაზრდების მეტი ჩართულობაა საჭირო, კარგი იქნება, რომ ახალგაზრდები დაინტერესდნენ და ხელი მოკიდონ ამ საქმეს. ყველა დედაქალაქში წასვლაზე არ უნდა ფიქრობდეს. სტუდენტობის გამო მეც ვიცხოვრე თბილისში, მაგრამ სოფელში ფუტკარი მეგულებოდა და გულმა ისევ აქეთ გამომიწია, არ მიფიქრია დედაქალაქში დარჩენაზე. თუ ახალგაზრდა მოინდომებს სამუშაოს სოფლადაც ნახავს. სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგს თუ მიხედავენ, ადგილზე დასაქმებასაც შეძლებენ. ამისი პერსსპექტივა კახეთის სოფლებს ნამდვილად აქვს და მგონია, რომ აქაც შეძლებენ დარჩენას და ფეხის მოკიდებას. ამით სოფელსაც გავაძლიერებთ.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

გსურთ, თავი დაანებოთ თამბაქოს?

თამბაქოს ბევრი ადამიანი ეწევა. აქედან ნახევარზე მეტს სურს ამ მავნე ჩვეულებისათვის თავის დანებება, მაგრამ ვერ ახერხებს და ამაში მათ დახმარება სჭირდებათ.

თავის დანებება ერთჯერადი აქტი არ არის. გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ პიროვნება, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას და მოწევას თავი დაანება – ამას ხუთი ან ექვსი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ახერხებს მხოლოდ. როგორც ჩანს, ბევრ მწეველს ესაჭიროება თავის დანებებისა და წაცდენების პროცესის გავლა, სანამ ამ ჩვევაზე საკმარისი კონტროლის უნარს შეიმუშავებს.

მაინც რა არის თამბაქოს წევაში ისეთი, რის გამოც ძნელია მისთვის თავის განებება? თავიდანვე უნდა ითქვას, რომ „მტრის შეუფასებლობა“ დაუშვებელია. ეს მავნე ჩეულება თავის სიმტკიცით ნარკოტიკებზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულებას უთანაბრდება. თუმცა, ნიკოტინი არ იძლევა ისეთ უჩვეულო და ძლიერ შგრძნებებს, როგორც ნარკოტიკები – მისი გავლენა ნერვულ სისტემაზე ძალზე ღრმა და ყოვლისმომცველია. მთავარი არის ის, რომ ნიკოტინის საშუალებით გუნება-ანწყობილების რეგულირება ხდება. რეგულაციის ეფექტურობას განაპირობებს ის, რომ გამოცდილ მწეველს ჩასუნთქვის სიღრმისა და სიხშირის მიხედვით ადვილად შეუძლია არეგულიროს მისთვის საჭირო დოზა და გათავისუფლდეს ისეთი ნეგატიური განცდებისგან როგორც არის შიში, შფოთვა, უგუნებობა და მოწყენილობა. ადამიანისთვის, რომელსაც ადვილად ეუფლება სევდა, შფოთვა და მოწყენილობა, თამბაქოს წევა ხდება ამ მდგომარეობათა დაძლევის ჩეული ხერხი და ამ ჩვევის დარღვევას გუნება-განწყობის რეგულაციის ძირითადი საშუალებაა - ამ მიზნით სხვა ალტერნატივა თუ არ მივაწოდეთ- იგი თამბაქოს წევას თავს ვერ დაანებებს.

აქედან გასაგებიაა თუ რაოდენ სერიოზული საქმეა თამბაქოსთვის თავის დანებება, შინაგან ძალთა რა დიდ მობილიზაციას საჭიროებს იგი და რომ ეს ბრძოლა საკმაოდ ხანგრძლივი შეიძლება იყოს.

თუმცა, ადამიანთა უმეტესობა მოწევას დამოუკიდებლად ანებებს. გარკვეული ფსიგოლოგიური დახმარება აადვილებს ამ პროცესს. მასში შედის ჩვევების გამომუშავება, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ადამიანი ცდუნების სიტუაციას. იმ მოტივაციის გაძლიერება, რის გამოც ადამიანმა თავი უნდა დაანებოს მოწევას. მაგრამ მხოლოდ დაძლევის ჩვევები აშკარად არაეფექტურია მათთვის, ვისაც ძლიერ ნეგატიური ემოციები–შფოთვა და დეპრესია ახასიათებთ. აქ უკვე ფსიქოთერაპია არის საჭირო.

ზოგადად კი ჩვენი რჩევები ასეთი იქნება:

1. აკეთეთ ის, რაც თქვენზე კარგად მოქმედებს, კარგ გუნებაზე გაყენებთ და ეს სიგარეტს ნაწილობრივ მაინც შეგიცვლით.ამაში შეიძლება შედიოდეს - მეგობრებთან ყოფნა, კონცერტზე წასვლა, კითხვა ან დაძინება, ცხოვრების სტილის შეცვლა დადებითი მიმართულებით - რასაც მოჰყვება გუნება-განწყობილების გამოკეთება-განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვინც თამბაქოს მოწევას უარყოფითი განცდებისსაკომპენსაციოდ იყენებს.

2. კრიტიკულია თამბაქოს გარეშე პირველი კვირა. ამდროს განსაკუთრებით ერიდეთ ალკოჰოლს, რომელიც არა მხოლოდ არყევს შეზღუდვებს, არამედ რაკი წარსულში მტკიცედ იყო დაკავშირებული მოწევასთან, უშუალოდ იწვევს მას, ამიტომ დალევას მოწევა მოჰყვება.

3. ასევე ერიდეთ ყავას, დიდი დოზებით ყავაც, ალკოჰოლის მსგავსად „ჩახმახის“ როლში გამოდის. ყავა აღაგზნებს ადამიანს, მატებს მის შფოთვას და იწვევს უძილობას- და სწორედ ამგვარ მდგომარეობათა პასუხად უჩნდება ადამიანს თამბაქოს მოწევის სურვილი.

4. ეცადეთ შეცვალოთ თქვენი ყოველდღიური მოქმედებების თანმიმდევრობა, რომელშიც მოწევა ერთ-ერთ მომენტად იყო შესული. მაგ: ნუ დაიტოვებთ თავისუფალ დროს, ჭამის შემდეგ მაგიდასთან თუ გაჩერდებით და სხვა.

5. ნუ ეცდებით თამბაქოსათვის თავის დანებებას, როცა დაძაბულობისა და სტრესის ვითარებაში იმყოფებით. ჯობია, ეს შვებულებისა თუ არდადეგების დროს გააკეთოთ.

6. და თუ მაინც მოხდა ჩავარდნა და ისევ მიუბრუნდით თამბაქოს მოწევას, ნუ გააუბრალოებთ ამ ფაქტს, რადგან ამის მერე კიდევ ერთი ჩავარდნა მეტად იქნება მოსალოდნელი. მაგრამ ნურც ტრაგედიას შექმნით ამისგან, რადგან ეს გაგიმტკიცებთ შიშს, რომ თავის დანებებას ვერასოდეს შეძლებთ.შეხედეთ ჩავარდნას როგორც გაფრთხილებას. როგორც შეცდომას, რომელიც თქვენვე უნდა გამოასწოროთ. ეცადეთ მისგან გაკვეთილი გამოიტანოთ - გაანალიზეთ სიტუაცია, დაგეგმეთ რა უნდა გააკეთოთ, რომ მომავალში იგივე არ დაგემართოთ. მიიღეთ ჩავარდნა როგორც გაფრთხილება და გაორკეცეთ მცდელობა.

7. ნუ შეგეშინდებათ თუკი დროდადრო მოწევის ძლიერი სურვილი დაგეუფლებათ. თავდაპირველად ეს სურვილი 5-10 წუთი გრძელდება, ნელ-ნელა კი იგი სულ უფრო იშვიათად და ნაკლებ ძლიერად „წამოგივლით“.

თუ წაცდენებმა სისტემატური ხასიათი მიიღოდა ფაქტობრივად რეგულარულად დაიწყეთ წევა - სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით ახალი მცდელობა წამოიწყეთ.

გახსოვდეთ, რომ მოწევა ქრონიკული დაავადებაა და თავის განებება პროცესია, რომელშიც, სამწუხაროდ, ჩავარდნებსაც ექნება ადგილი. რადგან მიიწევთ დასახული მიზნისაკენ - იცხოვროთ თამბაქოს გარეშე - ამ გზაზე მცირეოდენი წინსვლაც დიდ წარმატებად შგიძლიათ ჩათვალოთ.

ბესიკ გიგოლაშვილი

ფსიქოლოგი

როგორ გავიგოთ ფეხბურთის ტერმინოლოგია

საქართველო პირველად მსოფლიოს 1998 წლის საფეხბურთო პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოვიდა. მას შემდეგ ქვეყანა მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის, ან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერც ერთხელ ვერ მოხვდა. ამ გამარჯვებების არარსებობის მიუხედავად, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და ცნობილ გუნდად ითვლება.

ავტოგოლი

ავტოგოლი ან გოლი საკუთარ კარში - საკუთარ კარში ბურთის გატანა (როგორც წესი შემთხვევით), რომელიც მოწინააღმდეგე მხარეს ეთვლება ანგარიშში. ფეხბურთში მოქმედი წესებით, რიგ შემთხვევებში ავტოგოლი არ ითვლება. მაგალითად, თუ ბურთი პირველივე შეხებით გავიდა კარში უშუალოდ საჯარიმო დარტმისას, თავისუფალი დარტყმისას, საწყისი დარტყმისას, კარიდან დარტყმისას, კუთხურის ან აუტის ჩაწოდებისას. ყველა ასეთ შემთხვევაში ინიშნება თავისუფალი დარტყმა.

ამხანაგური მატჩი

სპორტული შეჯიბრი, რომელიც არ ატარებს რაიმე სატურნირო დატვირთვას. ამხანაგური მატჩის მონაწილეთათვის ანგარიში ნაკლებ მნიშვნელოვანია თამაშის ხარისხთან შედარებით. ძირითადად ასეთი შეხვედრები იმართება სეზონებს შორის ან რეგულარული ჩემპიონატის დაწყების წინ. შესაძლებელია წესების მცირე ცვლილებებიც კი, როგორიცაა გაფრთხილების გაუქმება, მოთამაშეთა შეუზღუდავი შეცვლა და ა.შ.

ამხანაგური მატჩის მიზანია: ტაქტიკის, შეთამაშების, კომბინაციების დახვეწის ვარჯიშები, კანდიდატთა გამოცდა, გუნდის ძირითადი შემადგენლობის გარკვევა გუნდურ სახეობებში.

ბოსმანის წესი

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი კანონი, რომელიც აძლევს საშუალებას ფეხბუთელებს, რომლებსაც დაუმთავრდათ კონტრაქტი კლუბთან, გადავიდნენ სხვა კლუბში კომპენსაციის გარეშე.

თავდამსხმელი

შემტევი მოთამაშე, რომელიც ფეხბურთის მოედანზე უმთავრესად მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს მოქმედებს. თამაშის დროს თავდამსხმელთა ძირითადი მოვალეობაც, დანიშნულებაც და მიზანიც მეტოქეთა კარის აღება ანუ გოლების გატანაა. თავდამსხმელის სათამაშო პოზიციიდან გამომდინარე, მათივე მოვალეობაში შედის შეტევის დასკვნით ფაზაში აქტიური მონაწილეობა, ისევე როგორც თანაგუნდელების საგოლე გადაცემებით მომარაგება

მაკრატელა დარტყმა

ფეხბურთში ბურთისთვის ფეხის აკრობატული მანერით დარტმა, როდესაც მოთამაშე ამას ჰაერში ახტომისას მიმართავს. ფეხბურთის კულტურის და ნიჭის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება, რომელიც ფეხბურთელის პროფესიონალიზმის მაღალ დონეზე მიუთითებს. მაკრატელა დარტყმის წარმოშობაზე დღესაც დავაა, თუმცა მიჩნეულია, რომ იგი პირველად სამხრეთ ამერიკაში შესრულდა.

ოქროს დუბლი

ფეხბურთში საფეხბურთო კლუბის მიერ, ერთ სეზონში, ქვეყნის უმაღლესი ჩემპიონატისა და ეროვნული საფეხბურთო თასის ერთდროულად მოგება.

აუტი

მდგომარეობა, როდესაც ბურთი გადის სათამაშო მოედნიდან ხაზს გარეთ.

ძელი

ფეხბურთის კარის ზედა, განივ გადებული ძელი; კადონი.

კორნერი

ბურთის გასვლა მოედნის პირითი ხაზსაზღვარს იქით იმ გუნდის მოთამაშის ფეხზე ან სხეულის სხვა ნაწილზე გაკარების შემდეგ, რომელსაც ეკუთვნის ეს პირითი ხაზსაზღვარი;

ოფსაიდი

თამაშგარე;

პენდელი

თერთმეტმეტრიანი გარტყმა;

ფოლი

უხეში ილეთი თამაშში, ჯარიმა;

ხელნსი

ხელი, ბურთის ხელით თამაში განზრახვით;

ფრიკიკი

ბურთის არასწორი გადმოგდება აუტიდან;

ოგერი

ზეცდენი, ბურთის გადაფრენა კარს ზევით;

პასი

ბურთის გადაცემა პარტნიორისთვის;

საქართველო-ესპანეთის მერვედფინალურ მატჩზე დასასწრებად ქომაგებისთვის სუბსიდირებული ოთხი ჩარტერული რეისი განხორციელდება

EURO 2024-ზე საქართველოს ნაკრების საგულშემატკივროდ, მერვედფინალურ მატჩზე გასამგზავრებელი ბილეთების გაყიდვა დაიწყო. ეროვნული ნაკრების ქომაგებს ბილეთების შეძენა ტკტ.გე-ს პლატფორმაზე უკვე 13:00 საათიდან შეუძლიათ. ერთი გზის ღირებულება, წინა სუბსიდირებული რეისების მსგავსად, 195 ევრო ღირს. ბილეთების გაყიდვის მონიტორინგს, ასევე, მგზავრების რეგისტრაციის პროცესს სრულად აეროპორტების გაერთიანება უზრუნველყოფს.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების გენერალურის დირექტორის, ირაკლი ქარქაშაძის განცხადებით, ფრენებს ქართული ავიაკომპანიები - „ჯორჯიან ვინგსი“ და „ჯორჯიან ეარვეისი“ შეასრულებენ.

„პირველ რიგში, ვულოცავ ჩვენს ნაკრებს EURO 2024-ზე ისტორიულ გამარჯვებას და მერვედფინალში გასვლას. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ისტორიის წერა ახლა უკვე ესპანეთის ნაკრებთან. ამისათვის კი საჭიროა, კიოლნის სტადიონზე რაც შეიძლება მეტი ქართველი ქომაგი იყოს მობილიზებული. საქართველოს მთავრობის დავალებით, აეროპორტების გაერთიანებამ დაუყოვნებლივ დაიწყო მუშაობა დამატებითი ჩარტერული რეისების დანიშვნაზე, როგორც კი ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფურ თამაშში პორტუგალიის ნაკრები დაამარცხა და პლეიოფის ისტორიული საგზური მოიპოვა. ავიაკომპანიებთან და პარტნიორ აეროპორტთან მოლაპარაკებების შედეგად, ჯამში, კიოლნის მიმართულებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან და პირიქით, 29 ივნისიდან 2 ივლისის პერიოდში ოთხი სუბსიდირებული ჩარტერული ფრენა შესრულდება. გასამგზავრებელი ბილეთების შეძენა ქომაგებს ტკტ.გე-ზე 28 ივნისის 13:00 საათიდან შეეძლებათ“, — განაცხადა ირაკლი ქარქაშაძემ.

საქართველო-ესპანეთის მერვედფინალურ მატჩზე დასასწრებად მორგებული სუბსიდირებული ჩარტერული ფრენები შემდეგი განრიგით შესრულდება:

29 ივნისი თბილისი–კიოლნი, გაფრენა 12:00;
29 ივნისი თბილისი–კიოლნი, გაფრენა 19:00;
30 ივნისი თბილისი–კიოლნი, გაფრენა 04:30;
2 ივლისი კიოლნი–თბილისი, გამოფრენა 15:00;

გამფრენი მგზავრები რეგისტრაციაზე, შესაბამის აეროპორტებში სამი საათით ადრე უნდა გამოცხადდნენ. საქართველოს მოქალაქეებმა თბილისიდან კიოლნში გამგზავრებისას, სამგზავრო დოკუმენტებთან ერთად, თან უნდა იქონიონ საქართველოს ნაკრების ფეხბურთის მატჩზე დასასწრები ბილეთები. საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ გერმანიაში საქართველოს ნაკრების მატჩებზე დასასწრებად ქომაგებისთვის, ჯამში, 40-მდე ჩარტერული რეისი დააორგანიზა.

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1959 WELI

● 1921 WLAMDE WITELWYAROS TERITORIAZE IYO ORI DAWYEBITI SKOLA, SADAC 100-MDE BAVSVI SWAVLOBDA. 1959 WELS 5 822 MOSWAVLIS ARZR DAS EMSAXUREBA 22 ZOGADSAGANMANATLEBLO SKOLA, 4 MUSA DA SOFLIS AXALGAZRDOBIS SASUALO DA ERTI SOFLIS AXALGAZRDOBIS SVIDWLIANI SKOLEBI. RAIONSI 500-MDE MASWAVLEBELIA. WINAT TU RAIONSI ZNELAD MOIZEBNEBODA UMARLESI GANATLEBIS ADAMIANI, AXLA 9 367 UMARLESI DA SASUALO SPECIALURI GANATLEBIS SPECIALISTIA.

● 1921 WLAMDE RAIONSI AR IYO ARCERTI SAAVADMYOFO DA SAMEDICINO PUNQTI. AMJAMAD WITELWYAROS MSROMELTA JANMRTELOBAS EMSAXUREBA 3 QALAQISA DA 6 SOFLIS TIPIS SAAVADMYOFO, 5 AMBULATORIA, 48 EQIMI DA 132 EQTANI.

● WITELWYAROSI UKVE GAMOYVANILIA RKINIGZIS XAZI, SOFLEBI KI UKVE DASERILIA GZEBIT DA SAREISO AVTOBUSEBIT. XALXIS SAMSAXURSIA KIRIS QARXANA, ADGILOBRIVI MEURNEOBIS SAMQROEBI. UMAGALITOD GAFARTOVDA JANMRTELOBIS DACVIS, KULTURUL-SAGANMANATLEBLO DA SAVAWRO QSELI. YOVELIVE ES DIDI OQTOMBRIS



SABWOTA XELISUFLEBIS MONAPOVARIA.

● CAMORCENILOBIDAN SEZLEBULI DA KULTURULI CXOVREBISKEN MIVDIVART. CVENI RAIONIS DASAXLEBULI ADGILEBI SUL RARAC SAMI ATEULI WLIS WINAT ZALZE CAMORCENILI MXARE IYO. MOSAXLEOBA NAXEVRAD GOMUR BINEBSI CXOVROBDA. MOKLEBULNI IYVNEN SAMEDICINO MOMSAXUREBAS, AR IYO SAKMARISI SKOLEBI, BIBLIOTEKEBI, SAKLUBO DAWESEBULEBANI. AXLA RAIONIS CENTRMA DA SOFLEBMA SRULAD ICVALES SAXE. ARAR ARIS ISETI SOFELI, SADAC AR IYOS SKOLA, AFTIAQI, JANMRTELOBIS KETILMOWYOBILI KERA, RADIO, SINATLE. WINAT WYALMOWYUREBUL SOFLEBSI AXLA ANKARA WYLEBI MOCUXCUXEBS, GAKETDA GZEBI. MARTO 1958 WELS WITELWYAROSI 300-ZE METI INDIVIDUALURI BINA ASENDA. SOFEL ZEMO MACXAANSI, JAFARIZESA DA GAMARJVEBASI ASENDA KULTURIS SAXLEBI. AMASWINAT, RAIONIS MOSAXLEOBAMA SACUQRAD MIIRO KIDEV ERTI KULTURULI NAGEBOBA - KINOTEATRI, SADAC QARTUL DA UCXOUR FILMEBS UCVENEBEN.

1979 WELI

● IVANE BABAKISVILI STUMRAD MOSUL BIZASVILS AVTANDILS ETAMSEBODA, AVTOMANQANIS KABINASI TOFI NAXES DA AXLA IMIT GAAGRZELES UCEB ARASRULWLOVANTA XELSI TOFMA IGRIALA... AVTANDIL BABAKISVILI EQIMEBMAC VERAR USVELES. ROGORC ARMOCNDA MANQANASI DA RA TQVA TOFIS MFLOBELMA ARAM BABAKISVILMA SASAMARTLOZE. LULAGADAWRILI 16 KALIBRIS ERTLULIANI TOFI ALAZANZE UPOVIA. 1978 WLIS 12 OQTOMBERS DEDASTAN ZEMO BODBESI YOFILA. BODBIS TYESI TURA DAUNAXAVS, TOFI SASROLAD MOUMZADEBIA, MAGRAM VER MOUSWVRIA DA DATENILI TOFI AVTOMANQANASI, SAJDOMIS QVES SEUNAXAVS. SAXLSI MOSULMA MANQANIS KARI AR CAKETA. SIN STUMREBI DAXVEDRIAN DA MATI GAMASPINZLEBIS TADARIGS SESDGOMIA. WITELWYAROS SAXALXO SASAMARTLOM MOSAMARTLE GIORGI GONASVILIS TAVMJDOMAREOBIT PROKUROR Z. TUSURIS MONAWILEOBIT GANIXILA BRALDEBIS SAQME DA MAS MIUSAJA ERTI WLIT GAMASWOREBELI SAMUSAO TAVISUFLEBIS ARUKVETLAD ADGILZE MOXDIT, GAMOMUSAVEBULI XELFASIDAN 10% DAQVITVITMAN TAVI DAMNASAVED SCNO.

● QALAQ WITELWYAROS WIGNEBIS SPECIALIZIREBULI MARAZIA WIGNIT VAWROBIS GEGMEBS WLEBIS MANZILZE GADAWARBEBIT ASRULEBS DA YOVELTVIS MOWINAVETA RIGEBSIA. GASULI WELIC DIDI GADAWARBEBIT SEASRULES. GAMYIDVELEBMA AMALIA LEKASVILMA DA LILI SVANGIRAZEM 61 000-IS NACVLAD 65 ATAS MANETZE METI IVAWRES. WARMATEBEBIT ASRULEBDNEN YOVELTVIUR DA YOVELKVARTLUR GEGMEBS DA GAMARJVEBULEB GAMODIODNEN SOCIALISTUR SEJIBREBEBSI.

● REDAQCIA GANAGRZOBS REIDS. MECXVAREOBIS FERMEBSI MOISUSTEBS MASOBRIVI SAAGITACIO MUSAOBA. MAT SORIS KEDLIS GAZETEBIS AQTIURI GAMOCEMA. KEDLIS GAZETI IQIT IYOS, SAKITXAVI ISAA, RATOM AR MIAQVT DROZE MWYEMSEBTAN MRAVALTIRAJIANI, AXALI JURNALGAZETEBI? MWYEMSI DREDARAM MOWYVETILIA SAZOGADOEBAS, MAS ROGOR SEITYOS CVENI QVEYNIS AV-KARGI? FERMEBSI GANSAKUTREBULI YURADREBA UNDA MIEQCES TVALSACINOEBAS DA AGITACIIS GAMZAFREBAS. OZAANIS KOLMEURNEOBIS MECXVAREBA BINEBSI USUFTAOBAA. LENINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS FERMEBSI DABAL DONEZEA PIRVELADI ARRICXVIANOBA. MWYEMSEBIS KULTSAYOFACXOVREBO MOMSAXUREBIS GAUMJOBESEBAS JEROVANI YURADREBA!

● `MAYUREBELS QALAQ WITELWYAROS KINOTEATRSI SESAZLEBLOBA EQNEBA NAXOS AXALI QARTULI FILMI `DATA TUTASXIA~I DA II SERIA. IS GADAREBULIA WABUA AMIREJIBIS AMAVE SAXELWODEBIS ROMANIS MIXEDVIT. QALAQSI DASRULEBIS SEMDEG FILMS SACVENEBLAD WAVIREBT TITO DRITTANMIMDEVRULAD JER JAFARIZESI, SEMDEG ARBOSIKSI, ZEMO MACXAANSI, OZAANSA DA GAMARJVEBASI. AMIS SEMDEG UKVE GADAVINACVLEBT ZEMO QEDSI, ARXILOSKALOSI DA QVEMO QEDSI,~ - GVATYOBINEBS WITELWYAROS KINOTEATRIS UFROSI KINOMEQANIKOSI H. JAMAROVI.

● 20 WELIA SIRAQIS MEFRINVELEOBIS MEURNEOBA ARSEBOBS, MAGRAM TITQMIS YOVELWELS CAMORCENILTA SORISAA. ZARALS ZARALI EMATEBA. 1977 WELS 272 000 MANETI ZARALIT DAAMTAVRA, 1978 WELS ZARALMA UFRO DIDI TANXA SEADGINA. MEURNEOBA YOVEL WELS ZARALIT GEGMAVDA, MAGRAM SAMWUXAROD GEGMIURI ZARALIC AR YOFNIDAT. 2 WLIS WIN SRULIAD GAUMARTLEBLAD DA PIROBEBIS GAUTVALISWINEBLAD AQ SEMOIYVANES IXVI, ARADA IXVIS GAMOSAZAMTREBLAD ELEMENTARULI PIROBEBIC AR IYO. SUL SXVA DANISNULEBIS SENOBASI MOATAVSES. AMITOMAC 20 000 FRTA IXVI DAIXOCA DA MZIME TVIRTAD DAGVAWVA. IS, RAC DAXOCVAS GADAURCA, MEURNEOBISTVIS GAMOUSADEGARI DA USARGEBLOA DAKLULI XORCIC GADASAYRELI GAXDA. MATZE 300 TONA KOMBINIREBULI SAKVEBI GAIXARJA, TU MOVLA-PATRONOBIS XARJEBSAC DAVUMATEBT, NATELI GAXDEBA RA ZARALIA. AR SEIZLEBA IMIS TQMA, ROM MEURNEOBASI SATANADO RONISZIEBANI AR TARDEBODA, MAGRAM SAQMES AR SVELODA. MEURNEOBIS GAXSNIDAN 7-JER SEICVALA DIREQTORI, ZOOVETSOECIALISTEBIS CVLAS XOM SATVALAVIC ARAR AQVS. ZOGIERTIS MIMART MKACRI SASJELIC GAMOIYENES, MAGRAM RA GAMOVIDA? SAQME MKVDARI WERTILIDAN AR DAZRULA, UFRO PIRIQIT.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

ამოხსენი სუდოკუ

						7		6
	7		9		6	3		
	5		4	7	3	8	9	
1	3	2			5		7	9
		4	2	1		5	3	8
	9				4			
	2	7		6	8		1	3
				4			8	
6				9	7			4

		6						2
7	5				4			6
			3		6	4		
8			5		9	1	6	
	3	1				8		4
	4	9			1			7
9			4			7		8
				6		2		
					8		5	

6	1	3	8				9	
		7	6	4		8		
9			5	3	1			7
8	3			9	6			
	9	6	7			2	4	
7	4			1			6	9
		8		6		4		1
4	2			8			3	
	6	1						

			7	2		3	1	9
3			5					
1				8	6	4		
		5						
7	3				5	2		
	1	9						
				7	8	5		3
	5	1	9		3			7
				5			9	8



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. მდინარე, რომელიც გადალახა იულიუს კეისარმა და დაიწყო სამოქალაქო ომი. ამ მდინარის სახელი გადამწყვეტი ნაბიჯის სინონიმი გახდა 2. მეფე, რომელმაც ებრაელთა პირველი ტაძარი ააშენა მორიას მთაზე 3. კარტოფილის მავნებელი ხოჭო 4. ჩრდილოეთ ამერიკის ძირითადი წყალშემკრები მდინარე 5. მუსლიმანური მარხვა. ჭამა შეიძლება დაღამებისას, როცა ვეღარ გაირჩევა შავი და თეთრი ძაფების ფერი 6. ერთ-ერთი საბჭოური სიმბოლიკა 7. რუსული ფოლკლორის გოლიათები: ... მურომეცი, ალიოშა პოპოვიჩი და დობრინია ნიკიტიჩი 12. გერმანელი ფილოსოფოსი ფაშისტურ იდეოლოგიაში ქადაგებდა „ზეკაცის“ კულტს 14. კაზიმირ მალევიჩი. „... კვადრატი“ 16. აკირა კუროსავას ფილმი „შვიდი ...“ 17. სახელმწიფო, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიის შიგნით მდებარეობს 18. ესერი ქალი, რომელმაც 1918 წელს ესროლა ლენინს 19. ნიტრატი აზოტმჟავას მარილებს ჰქვია. რა ჰქვია აზოტოვანი მჟავას მარილებს 20. ტყემლის სანელებელი 21. ძველ რომში რომელ გემზე იხდიდნენ სასჯელს კატორღამისჯილი დამნაშავეები 22. მოწოდება - სლოგანი, მაგალითად - „ძალა ერთობაშია“

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. მზესთან ყველაზე ახლოს მდებარე პლანეტა 8. ფელდმარშალი, რომლის მიმართ ეკატერინე II-მ თქვა: “გამარჯვებულებს არ სჯიან” 9. ბიბლიური თქმულების მიხედვით, ვის წაართვა ძალა დალილამ თმის შეჭრით 10. რუსი მეცნიერი, ექიმი, რომელმაც პირველმა გამოიყენა ეთერის ნარკოზი საველე პირობებში11. ფრანგი მხატვარი. პოსტიმპრესიონიზმის წარმომადგენელი 13. კაკაოს თესლებისგან დამზადებული სასმელი, რომელსაც აცტეკები ვანილსა და წიწაკას უმატებდნენ 15. ყველა სენის სარგო წამალი, რომელსაც თითქოსდა ალქიმიკოსები შარდისგან იღებდნენ 16. სილიციუმის კოლოიდური ხსნარი. იყენებენ მკერდის კორექციისთვის 21. რომელი ფრინველის ყელის ბუმბულია გერმა 23. ისტორიული ტერიტორია ტიგრსა და ევფრატს შორის 24. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა 25. სისხლში ერითროციტების ნაკლებობით გამოწვეული დაავადება 26. შარლ დე კოსტერის ჰეროიკული პერსონაჟი ... ულენშპიგელი 27. რა მზადდება თხის ნაწლავისგან ჩონგურისთვის 28. ზღვის დიდი კიბო

ხელოვანი ფართოდ გაშლილი ჰორიზონტითა და მომავლის იმედებით

ხელოვანი ადამიანი ვერ გახდები თუ ბუნებით, დაბადებიდანვე არ გაგაჩნია ამის ნიჭი, ვერ გახდები თუ მატერიალური სამყარო გხიბლავს, თუ არ გიყვარს ოცნება. ალბათ, სწორედ მეოცნებენი ქმნიან ხელოვნებას. ძნელია ლოგიკურად განსაზღვრო, თუ რა უდევს საფუძვლად მას, მაგრამ ხელოვნება, რომ ადამიანის განუყოფელი ნაწილია ამაზე, ალბათ, არავინ დაობს. და მაინც, როგორ ზემოქმედებს ადამიანზე ხელოვნების თავბრუდამხვევი სამყარო? როგორია შემოქმედის მიერ დანახული ფერთა გამა, როგორია შემოქმედებითი პროცესი და როგორ ისხამს ხორცს ხელოვანის წარმოსახვა? ამ და სხვა საინტერესო საკითხზე ახალგაზრდა ხელოვანი, მხატვარი და შემოქმედი მარიამ არაბული გვესაუბრება. ის ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა, როდესაც მის პერსონალურ გამოფენაზე ვწერდით, მაგრამ ახლა გვსურს ის ახლოდან გავაცნოთ ჩვენს მკითხველს:

-ვინ არის მარიამ არაბული? გაეცანით ჩვენს მკითხველს.

მე ვარ მარიამ არაბული, დავიბადე სოფელ გამარჯვებაში. მეათე წელია დაოჯახებული ვარ. მყავს ორი შვილი. პირველი ბიჭი - იმედა მინდიკაური რვა წლისაა, გოგონა- ემილი მინდიკაური 6 წლის. ბავშვობიდან ვხატავ, შესაბამისად, ჩემი ჰობი და გატაცებაც ხელოვნებას უკავშირდება. თავისუფალი დროც ვცდილობ, ხატვას დავუთმო. მუდმივად ხატვისკენ მიმინევს გული.

-გაიხსენე შენი პირველი ნაბიჯი ფუნჯით. როდის შეამჩნიე რომ ხატვა გიტაცებდა და როდის დაიწყო შენი როგორც შემოქმედის ცხოვრება?

ჩემი პირველი ნაბიჯი ფუნჯით არ ყოფილა. პირველ კლასში, უბრალოდ ფლომასტერებით იები დავხატე და მას შემდეგ მომეწონა ხატვა. ვცდილობდი, უფრო უკეთესი და უკეთესი ნახატები შემექმნა. წინა ნახატთან შედარებით მინდოდა, მომდევნო განსხვავებული ყოფილიყო. აქედან გამიტაცა ხატვამ. შემდეგ როცა წამოვიზარდე, მშობლებმაც შეამჩნიეს ალბათ, რომ ნიჭი მქონდა და დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლაში შემიყვანეს. 5 წელი ვისწავლე. სამხატვრო სკოლაში გატარებული დრო დამეხმარა ტექნიკის დახვეწაში, რამაც ჩემს შემდგომ ნახატებზეც იმოქმედა. დავხვეწე სტილი, ხელოვნებასაც სხვა კუთხით მივუდექი. დაოჯახების შემდგომ, მქონდა ისეთი პერიოდიც, როცა ვეღარ ვახერხებდი ხატვას, მაგრამ ნელ-ნელა ვცდილობ დავუბრუნდე ჩვეულ ფორმას და შემოქმედებას უფრო მეტი დრო დავუთმო.

-რა არის შენთვის მუშაობის მთავარი სტიმული? მუზა?

ძირითადად, შვილები არიან ჩემი სტიმულიც, მუზაც და მოტივაციაც. მათ ძალიან უყვართ როცა ვხატავ, გოგონას განსაკუთრებულად. პირველი გამოფენაც, გადავწყვიტე, სწორედ შვილებისთვის მიმეძღვნა. ბუნებაც ახდენს ზეგავლენას,



მას სხვა ეფექტი აქვს, რადგან ის ხშირად მუზის ფუნქციასაც ითავსებს. შემდეგი გამოფენაც, რომელსაც სამომავლოდ ვგეგმავ, უფრო მთას დაუკავშირდება და მისით იქნება ინსპირირებული. ღამე, სიმშვიდეში ხატვაც სხვა ზეგავლენას ახდენს შემოქმედზე.

-გამოფენა ახსენე. ჩვენს მკითხველს რამდენიმე ნომრის წინ სწორედ შენს პირველ პერსონალურ გამოფენაზე ვუყვებოდით. როდის და ვისი ინიციატივით დაიგეგმა ეს ღონისძიება?

ეს გამოფენა შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევითობის დამსახურებაა. იდეა ერთმა ჩვეულებრივმა გამოფენამ გააჩინა, რომელიც ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში მოეწყო. ეს მეორე კლასის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა გახლდათ. მასწავლებელს ხუმრობით ვკითხე, არ შეიძლება მშობლებმაც მივიღოთ მონაწილეობა-მეთქი. მასწავლებელმაც, დიახ, როგორ არა, მოიტანე შენი ნამუშევრებიცო. როდესაც მივიტანე, რუსუდან კიკილაშვილს ძალიან მოეწონა, ჩათვალა, რომ ცალკე უნდა ყოფილიყო ჩემი ნამუშევრების გამოფენა, არ უნდოდა მათი ბავშვების ნახატებთან ერთად გამოტანა. სწორედ მისი სურვილი და იდეა იყო ამ გამოფენის მოწყობა, იმისთვის, რომ ახლოდან გავეცანი ხალხს. რუსუდანი რომ არა, შეიძლება არც გამეკეთებინა.

-რაიმე კონკრეტული ხაზი გქონდა ამ გამოფენისთვის, თუ რომელი ნახატები უნდა გაგეტანა საზოგადოების წინაშე?

დიახ, ვფიქრობდი შავ ფურცლებზე შესრულებული ნახატები წარმედგინა, რომელიც მიმაჩნია, გამორჩეულია არამარტო ვიზუალურად, არამედ მასზე შესრულების სტილითა და სირთულითაც. თეთრ ფერებში არ მინდოდა გამეტანა. მინდოდა, ყველა ერთ ფერში ყოფილიყო. უფრო მშვიდი ნახატები მინდოდა. ვფიქრობ, ჩემს შემოქმედებაში ქაოსის ნაცვლად სიმშვიდე იგრძნობოდა და ეს ხდიდა გამოფენას გამორჩეულს.

-რამდენი ნახატია დღესდღეობით შენს კოლექციაში და რომელ ნახატს გამოარჩევდი?

ჯერჯერობით მხოლოდ 10 ნახატი მაქვს. გამორჩეულად მიყვარს „მაიმუნები“, მასში წარმოჩენილი დედა-შვილური სიყვარულის გამო. ამ ნახატის ორიგინალი სხვაგან მქონდა ნანახი და გადავიხატე. თავდაპირველ ნახატში თითქოს ბევრი გაურკვეველობა და ქაოსი იყო, ამიტომ ნახატი შევცვალე და ჩემებური სიმშვიდე, სიწყნარე შევიტანე მასში. ეს, ალბათ, ჩემს ბუნებასთანაცაა დაკავშირებული. ვეცადე, ჩემი ბუნება ჩამექსოვა შიგნით. ვფიქრობ, ყველა ნახატში იგრძნობა ჩემი ხასიათი. შავი ფურცლებიც იმიტომ ავირჩიე, რომ ღამეც განსაკუთრებულად მიყვარს და ეს ფურცლებიც ღამესთან ალუზიურად უფრო ახლოს იყო.

-რთული არ არის შაფ ფონზე ხატვა?

საკმაოდ რთულია, მას ფაქტობრივად არც ფანქარი ემჩნევა კარგად და ფერებით მუშაობაც სირთულეებთან არის დაკავშირებული.

-იმისთვის, რომ იყო შემდგარი, პროფესიონალი მხატვარი, საჭიროა თუ არა სამხატვრო სკოლა და აკადემიური განათლება?

დიახ, საჭიროა. ამაზე უკვე ვიფიქრე. ყველგან მეუბნებიან, რომ თუ არ მაქვს აკადემიური განათლება, ისე ვერსად ვერ მიმიღებენ სამუშაოდ. აკადემიური განათლება ხელს შემიწყობს, თუნდაც იმაში, გავხდე დაწყებითი კლასების მასწავლებელი საჯარო სკოლაში და ხელოვნება შევასწავლო. ამასთან დაკავშირებით გავესაუბრე სკოლის დირექტორსაც და მითხრა, რომ აკადემიური განათლება საჭირო იყო. რომ არა ეს ფაქტორი, მასწავლებლობისთვის საჭირო გამოცდებს აქამდე უკვე ჩავაბარებდი.

-რა არის შენთვის მუშაობაში ხელისშემშლელი ფაქტორი?

ვფიქრობ, როდესაც დაოჯახებული ხარ, ადამიანს შედარებით ნაკლები თავისუფალი დრო გრჩება. შესაბამისად, დროის ნაკლებობა ხდება ძირითადად ხელის შემშლელი ფაქტორი. როცა თავისუფალი ხარ და ძალიან ბევრი დრო გაქვს, ნებისმიერ მომენტში დაჯდები და დახატავ. ცალკე ოთახი და სივრცეც არ მაქვს. ვცდილობ, როცა მარტო ვარ მაშინ დავხატო.

-სამუშაოდ რომელ მასალას ანიჭებ უპირატესობას?

სამუშაოდ უფრო გუაშს ვანიჭებ უპირატესობას. ჩემთვის ის შედარებით უფრო მყარი მასალაა. აკვარელი უფრო თხელია. ისეთ ფურცლებზე მიწევს მუშაობა, ამჯერად ვერ შევეჭიდები აკვარელით მუშაობას. თავიდან სხვა მასალებითაც ვცადე, მაგრამ გუაში აღმოჩნდა ის მასალა, რომელსაც უფრო კარგად მივუდექი და გამიმარტივდა შექმნის პროცესი. ტექნიკურად უფრო კარგად გამომდიოდა. ზეთოვანი საღებავებითაც ბევრჯერ მიცდია. ჩემითაც ვცდილობდი საღებავების დამზადებას, მაგრამ არ იყო მკვეთრი ფერები. ამიტომ, თუ მკვეთრი და შესამჩნევი არაა ფერი, რაც ხშირად ნახატის ინსპირაციასაც გაძლევს ადამიანს, ძნელია მუზებს თავი მოუყარო. მაგალითად, ყვავილების ეფექტურად გამოსაცემად, ხშირად მკვეთრი ფერები გადამწყვეტია. შეიძლება კიდევ ვცადო ფერების საკუთარი წარმოსახვით შექმნა და ამ კუთხით მუშაობა.

-როგორია ნახატზე მუშაობის პროცესი? რამდენ ხანს გრძელდება ხოლმე ის?

გააჩნია, დროს როგორ გამოვნახავ, რამდენად თავისუფალი ვიქნები. ყოფილა შემთხვევა, როდესაც სამი თვეც კი დამჭირვებია ნახატის გასაგრძელებლად. ეს უფრო სკოლის პერიოდში, როცა გაკვეთილების გამო ვერ ვახერხებდი, დროის პატარ-პატარა მონაკვეთებს ვიყენებდი, ვჯდებოდი და ვხატავდი, ვაგრძელებდი დაწყებულ ნახატს. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ბევრი დრო მქონია და ორ დღეში დამისრულებია ნახატი. ზომას და სირთულეს, ვფიქრობ, მნიშვნელობა არ აქვს. თუ დრო მაქვს, მემარტივება, შემიძლია მოკლე დროში დავასრულო. ხშირად პატარა დეტალია, რომელიც არ გაძლევს მთლიანი ნახატის დასრულების საშუალებას. ამ დეტალებს უნდა ჩაუღრმავდე, რადგან შეიძლება იმ პატარა დეტალმა განსაზღვროს მთლიანი ნახატის საერთო შინაარსი. მაგალითად, ჩემს ნახატს „მაიმუნებს“ როცა ვხატავდი, თვალებზე მქონდა დიდი აქცენტი, რადგან თვალებს უნდა გამოეცოცხლებინა სურათი, თვალების გარეშე ხომ არაფერი იქნებოდა. თვალებზე ვიმუშავე ძალიან ბევრი.

-რომელია შენი საყვარელი მიმდინარეობა და რომელ მიმდინარეობას მიაკუთვნებდი საკუთარ

თავს და ნახატებს?

ვფიქრობ, უფრო იმპრესიონზმი და იმპრესიონისტებს მივაკუთვნებდი საკუთარ თავს, რადგან კუბიზმისგან და აბსტრაქციისგან შორს ვარ. თუმცა, მინდოდა, მეცადა და ერთი ნახატი ამ მიმართულებითაც მაქვს შესრულებული, სადაც ხაზები ერთმანეთში მაინც ჰარმონიულად გადადის. არ ქმნის ქაოსს. ემოციები ჩემთვის მნიშვნელოვანია. ფიგურებშიც ფიქრები და განცდები მქონდა ჩადებული. ერთგვარი ფიქრთა ფორმაცია გამოვიდა საბოლოოდ. ჩემი საყვარელი მხატვარი ნიკო ფიროსმანია. თვითნასწავლია და თავად ცდილობდა და ქმნიდა ფერებს. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ გამოსდიოდა განსაკუთრებული ნახატები.

-როგორც ცნობილია, მხატვრები განსაკუთრებულად, სხვადასხვა ფერებში უყურებენ და აღიქვამენ სამყაროს. შენ როგორ ფერებში აღიქვამ მას და რომელია შენთვის სიკეთის ფერი?

ჩემთვის სამყარო ფერადია. ყველაფერს რასაც ვაკეთებ, ფერები, სიფერადე, მრავალფეროვნება ახლავს თან. აქედან გამომაქვს დასკვნა, რომ ჩემთვის სამყარო შავ-თეთრი კი არა, ფერადია. იმიტომ ავირჩიე ფერადოვნება, რომ არსებული რეალობა შემეცვალა ანუ ის გარემო, რომელიც მუდმივად ზემოქმედებს, როგორც ფსიქოლოგიურად, ისევე ფიზიკურად, ემოციურად. სამყაროში თითქოს ყველაფერს თავისი ფერი აქვს, ბოროტებას, ღალატს, მაგრამ სიკეთესაც თავისი ფერი აქვს. ჩემთვის სიკეთე ვარდისფერია. ფერი, რომელიც სამყაროს უფრო მეტად გვიფერადებს და უკეთესობისკენ ცვლის გარემოს.

-რა არის შენთვის ხელოვნება? ის ხომ ერთგვარ

თილისმად აღიქმება, რომელსაც განსაკუთრებული ზემოქმედება შეუძლია საზოგადოებაზე და განსაკუთრებულ როლს ასრულებს ყოველდღიურობაში...

ხელოვნება და შემოქმედებითი პროცესი სიმშვიდეს მანიჭებს. ამ დროს მეტად პოზიტიური ვხდები და დადებითი ენერგიით ვივსები. ის იმდენად ღრმადაა ჩემს ცხოვრებაში, რომ ყოველ წამს თავს მახსენებს. სურვილი მიჩნდება, ყოველთვის განსხვავებული კუთხით შევხედო საკუთარ თავს. ჩემთვის ხელოვნება ძალიან კარგი საშუალებაა, რომ რეალურ ცხოვრებაში რაც არ მომწონს და მიუღებელია, სრულიად შეცვლილი და ჩემთვის მისაღები ფორმით გადავიტანო ფურცელზე. ის მაძლევს საშუალებას, შევცვალო საკუთარი თავი და რომ ვუყურებ დღევანდელ მარიამს და პირველკლასელ მარიამს, სწორედ ამ ცვლილებას ვხედავ-გავლენას, რომელიც ხელოვნების დამსახურებაა.

-როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის ხელოვნება?

ვფიქრობ, რაც უფრო თავისუფალია ხელოვანი, მით უფრო ხშირად სტუმრობს მუზა და ფერთა პალიტრაც განსაკუთრებულად მრავალფეროვანი აქვს. 21-ე საუკუნე ცვლილებების საუკუნე უნდა გახდეს ხელოვნებისთვისაც. მან უნდა დაამსხვრიოს სტერეოტიპები. არ უნდა იყოს გადაწეული უკან ფლანგზე და ყველას უნდა მიეცეს საშუალება საკუთარი ხედვა ინდივიდუალური სტილით გაუზიაროს ფართო საზოგადოებას. გენდერული თვალსაზრისითაც, თითქოს 21-ე საუკუნე ნაკლებად სწყალობს ქალ შემოქმედებს, რადგან მათ მამაკაცებისგან განსხვავებით ნაკლები დრო აქვთ შემოქმედებისთვის. ქალები ყოველთვის უკან რჩებიან, მათ აღარ რჩებათ დრო განვითარებისთვის. ეს მაშინ, როდესაც შემოქმედებითი თვალსაზრისით, ქალს ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე მამაკაცს.

-სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

სამომავლო გეგმები გარკვეულწილად უკვე ჩამოყალიბებული მაქვს, მინდა უფრო უკეთესი ნახატებით წარვსდგე საზოგადოების წინაშე. არ მინდა, ჩემი ნახატები ისევ შემოვაწყო თაროზე. მსურს, არაერთი, თემატურად მრავალფეროვანი გამოფენებით გავახარო ჩემი გულშემატკივარი. მთავარი სურვილია, თორემ მცირედი წინ გადადგმული ნაბიჯიც უკვე განვითარებისთვის დადებული კიდევ ერთი აგურია. პლუს მინდა აკადემიური განათლება მივიღო, რადგან თანამედროვე რეალობამ მისი აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. ჯერ კონკრეტული არაფერი მაქვს ამ კუთხით შერჩეული, მაგრამ ჩემს სამომავლო გეგმებში ეს აუცილებლად მოიაზრება.

-რას ეტყოდით ჩვენს მკითხველს?

მკითხველს ვუსურვებ, აკეთონ საყვარელი საქმე და არასოდეს იფიქრონ, რომ რაღაც არ გამოუვათ. როდესაც საყვარელ საქმეს აკეთებ, უფრო მეტად მოტივირებული ხარ, სხვანაირი თვალით უყურებ სამყაროს, ფრთებიც უფრო მეტად გაქვს გაშლილი. როდესაც საკუთარ საქმეში თავისუფალი ხარ, აბსოლუტურად სხვა გზები და ჰორიზონტი გეშლება თვალნინ.

ხელოვნება ეს ნიჭიერი ადამიანის მიერ სამყაროს შემოქმედებითი აღქმაა. ამ აღქმის ნაყოფი ეკუთვნის არა მხოლოდ მის შემქმნელს, არამედ პლანეტა დედამიწაზე მცხოვრებ კაცობრიობას. ხელოვნება საყოველთაოა, არ გააჩნია დრო, საზღვრები, ენა, ეროვნება, სქესი და მხოლოდ ემოციის ჯაჭვით გადაეცემა ერთოდან მეორეს...მარიამსაც სწორედ ამ ემოციის ჯაჭვის უწყვეტად შენარჩუნებას ვუსურვებთ, რომელსაც ჩვენამდე მისი შემოქმედების სიმშვიდე, სიწყნარე და ფერადოვნება მოაქვს.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით , ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2024 წლის 15 ივლისს, ორშაბათს 18 საათზე, ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 ძმის მესამე შესახვევი №5-ში შედგება შპს „მემონტაჟეს“-ს (ს.კ. 228544255) პარტნიორთა კრება.

დღის წესრიგი:

1. შპს „მემონტაჟე“-ს სარეგისტრაციო მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;
2. იურდიული მისამართის განსაზღვრა;
3. პარტნიორების გასვლა საზოგადოებიდან;
4. საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშვნა.

შპს „მემონტაჟე“-ს დირექცია.
ტელ: 595 215 277

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 01.07		სამშაბათი 02.07		ოთხშაბათი 03.07		ხუთშაბათი 04.07		პარასკევი 05.07		შაბათი 06.07		კვირა 07.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
25 °	15 °	24 °	15 °	26 °	16 °	30 °	18°	32 °	19 °	31°	19 °	31 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა ნელიწადში – 20 ლარი